



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შუერი.

სკლის მოწერა მიადება: თფილისში — წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ბარესი: Тифлиς, редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა. — მაკინლეი. — სხვა-და-სხვა ამბები. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარ-გარეთ. — ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გუშინ და დღეს, ი. გომართელისა. — კავკასიის გამოფენა. — მეცნიერება და მეცნიერები, დ. თოფურისისა. — წერილები რედაქციის მიმართ. — მცირე შენიშვნა. — განცხადებანი.

„კვალის“ № VII და VIII გამოვიდა და დაუბრუნდა ხელისმომწერლებს.

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

VII.

წარსულ კვირას თფილისში გაიხსნა კავკასიის „საიუბილეო“ გამოფენა. ამ ნაირათ თითქმის ამ ერთი წლის წინეთ განზრახული საქმე დღეს განხორციელებულათ უნდა ჩაითვალოს. დღევანდელი გამოფენის დამწყები და მოთავე არის კავკასიის სამეურნეო საზოგადოება. ეს უკვე მეათეჯერ არის, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასთან თუ მის მიერ გამოფენა იმართება. პირველი გამოფენა კავკასიაში მოხდა 1850 წელს, რომელიც გაგრძელდა 25 დღე; იგი ინახულა სულ 2600 კაცმა. შემდეგ წლებში სამეურნეო საზოგადოებაში ხდებოდა წლიური გამოფენები (1852, 1857, 1860, 1861, 1862, 1863 და 1869), მაგრამ არც ერთი იმათგანი გამოფენის სახელით არ შეიძლება რომ მოგნათლოთ. კავკასიის პირველი გამოფენა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით გამართულ იქმნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ მხოლოდ 1889 წელს. 12 წლის შემდეგ იმავე საზოგადოებამ ითავა დღევანდელი გამოფენის გამართვა, რაც უკვე სისტულემია მოყვანილი. 12 წელიწადი დღევანდელ პირობებში ცოტა დრო არ არის: ეჭვი არ არის, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ შესამჩნევად იცვალა ფერი; თუ ამ ათი-თორმეტი წლის წინეთ უმეტესობა ვერ ამჩნევდა ჩვენში მსხვილი მრეწველობის გაჩენას, დღეს ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. მეორე მხრით გამოფენის მნიშვნელობა და მისი მოწყობა საზოგადოებისთვის დღეს ისე უცნობი აღარ არის, როგორც ეს ამ 12 წლის წინეთ იყო ხოლმე. ამიტომ დღევანდელმა გამოფენამ ერთიორათ და ერთი სამათ მეტი უნდა გვიჩვენოს და დაგვანახოს, ვინემ გვიჩვენა და დაგვა-

ნახვა 1889 წლის გამოფენამ. თუ ამას მიუმატებთ იმ გარემოებას, რომ კავკასიის დღევანდელი გამოფენა „საიუბილეოა“, რომ მან უნდა გვიჩვენოს ასი წლის ნაშრომ-ნაღვაწის ნაყოფი, ე. ი. ამიერ-კავკასიაში საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი ფორმების თანდათან გაქრობა და იმათ მივიერ ახლების შობა და განვითარება, მაშინ ჩვენ ვავიგებთ, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ გამოფენას და აგრეთვე იმასაც, თუ რა უნდა მოვთხოვოთ მას ჩვენ. სამწუხაროთ, გამოფენის საზოგადო დათვლიერებიდან ჩვენ ვერაფერი სანუგეშო ვერ გამოვიტანეთ; და ამ მხრით, არა თუ გამართლდა ჩვენი წინათქმა (იხ. «კვალი» № 33), არამედ ჩვენ დღეს ვრწმუნდებით, რომ ეს გამოფენა ნახევრათაც ვერ გაამართლებს იმას, რასაც ჩვენ წინეთ მოველოდით.

მართალია გამოფენის შენობები ჯერ კიდევ არ არის გავესებული ნივთებით, რადგანაც ბევრი ექსპონატები ჯერ კიდევ არ დაუწყვიათ და ამიტომ დამთვლიერებელი გარშემო რაღაც სიცალიერესა გრძნობს, მაგრამ ეს წვრილმანებია, რის დაკლება არც რამეს აზარალებს და არც დიდ რასმეს შემატებს; ერთი სიტყვით, კავკასიის გამოფენა არის დღეს ის, რაც არის ან რაც უნდა იქნეს, როცა ყველა ექსპონატები თავის ალაგას დაიწყობა. პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თქვენზე დღევანდელი გამოფენა, მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ იქ ვერ ატყობთ ვერავითარ გვემას, ვერავითარ წინდაწინ მოფიქრებულ აზრს. თქვენ ხედავთ, რომ იქ გაფაციცებით უმუშაენიათ, უზრუნავთ, მაგრამ ამ მუშაობის დროს არა თუ არავითარი ხელმძღვანელი დედა-აზრი, არამედ უბრალო გვემაც კი არ ჰქონიათ თავში. ასე გვეგონებათ, რომ გამოფენის მოთავეთ ფიქრი და აზრი სრულებით დაკარგვიათო: რაც მათთვის მიუტანიათ, ყველაფერი განუზრუნვლათ დაუწყვიათ და ერთხელაც არ დაფიქრებულან, შეიძლება თუ არა ყველა ამის გამოფენა. ჩვენ წინეთაც აღვნიშნეთ, რომ კავკასიის დღევანდელ გამოფენ-

ნას მეტათ სულწასული ხასიათი ეტყობაო, და ახლა ამაზე აღარ ვაგვირდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ წინანდელი ჩვენი მოლოდინი, რომ ჩვენ ეს გამოფენა დაგვანახვებს კავკასიის ღრეანდელი ეკონომიური მდგომარეობის ერთ მხარეს მაინც, ე. ი. მის მრეწველობას და მეურნეობას, თითქმის სრულებით გაცრუებული რჩება: გამოფენაზე ჩვენ ვხედავთ ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეების სხვა-და-სხვა წარმოების ნიმუშებს, მაგრამ ჩვენთვის სრულებით გაუგებარი რჩება, თუ რა პირობებში იმყოფება ამა თუ იმ ადგილას წარმოების ესა თუ ის დარგი. რა უნდა ვაიგოს მნახველმა, მაგალ., იმ ღომის თავთავიდან, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო წარმოების ნიმუშებშია მოქცეული? საზოგადოთ კავკასიის მეურნეობის შესახებ ღრეანდელი გამოფენა ვერავითარ ცნობას ვერ გვაძლევს გარდა იმისა, რომ კავკასიაში მოდის: პური, ქერი, სიმინდი, ღვინო, ბამბა, აბრეშუმი, თამბაქო და სხვ. და ეს კი სრულებით საკმარისი არ არის. მნახველისთვის უწინარეს ყოვლისა საინტერესოა სამეურნეო მცენარეთა მოშენების პირობები, თუ როგორ არიან ისინი გავრცელებული, რა პირობები უწყობენ ხელს ან რა უშლიან, მოსავლის რაოდენობა და სხვ. ასეთ ცნობებს კი გამოფენა ჩვენ არ გვაძლევს. რაც შეეხება კავკასიის მსხვილ მრეწველობას და აგრეთვე ხელოსნობას, ამის ნიმუშებს თქვენ ნახავთ გამოფენაზე, თუმცა ძლიერ მკრთალათ. მაგრამ ყველაზე უფრო უმთავრესი, რაც სრულიად დაგვიწყებულია კავკასიის გამოფენაზე, ეს თვით გამოფენის ღრეანდელი, ე. ი. ასი წლის კულტურული განვითარების გზა და საშუალებანი. ვთქვათ, გამოფენა გვაძლევს რაიმე წარმოდგენას ან ცნობას კავკასიის ღრეანდელ ეკონომიურ ვითარებაზე, მაგრამ იგი სრულებით არაფერს არ გვეუბნება იმაზე, თუ როგორ მიღწეულ იქნა ღრეანდელი მდგომარეობა, ე. ი. თუ როგორი იყო ამ ერთი საუკუნის წინეთ ჩვენი მეურნეობა და მრეწველობა, და რა გაქრა ან აღორძინდა მასში.

მაგრამ, მიუხედავთ ასეთ დიდ ნაკლულევაებათა, კავკასიის გამოფენას მაინც საკმარისი მნიშვნელობა ექნება ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მნახველი აქ ბევრ ისეთ რასმეს გაიცნობს, რის ნახვას შესაძლებელია თუ არ გამოფენა, მთელ თავის სიცოცხლეშიაც ვერ ეღიროს. ავიღოთ, მაგ., სამთო განყოფილებაში ბ. მ. ბეთანოვის ექსპონატები, ე. ი. კავკასიის კიზელგურიდან (ერთნაირი თეთრი მიწა) და კავკასიის მარმარილოსაგან (ონიკი) გაკეთებული ნივთები *). აბა როგორ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი საუცხოვო შენეირი მარმარილო მოიპოვებოდა ჩვენში. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, თუ რა სიმდიდრე, ჯერ სრულებით ჩვენთვის უცნობი, მოიპოვება ჩვენ ქვეყანაში. მაგრამ გამოფენის განყოფილებებში ყველაზე უფრო საინტერესოა უეჭველათ ბაქოს პავილიონები უნდა ჩაითვალოს. ბაქო უდიდესი გაეცნო თავის თავი მნახველებისთვის რაც შეიძლება კარგათ. ერთი სიტყვით, იმას უზრუნავს იმაზე, რაც ფიქრათა არ მოსვლიათ გამოფენის მოთავეთ. ჩვენ აქ არ შევღვივართ იმის ახსნაში, თუ რათ დაიჭირა კავკასიის გა-

*) უფრო დაწვრილებით ამ ნივთებზე ვიტყვით თავის დროზე, როცა სამთო განყოფილებას ავწერთ.

მოფენაზე ბაქომ უპირველესი ალაგი, მაგრამ ვიტყვით კი, რომ ეს პირველობა შემთხვევით არ აიხსნება, ამდენად დიდი ღრეანდელი ბაქოს მნიშვნელობა ჩვენ ცხოვრებაში. ბაქო სამი პავილიონით არის წარმოდგენილი კავკასიის გამოფენაზე. ერთში ჩვენ ვხედავთ სხვა-და-სხვა დიაგრამებს, გეგმებს და მოდელებს; მეორეში, რომელიც წარმოადგენს «ვიშკას», მოწყობილია ბურაო და ნავთის ამოსაღები მაშინა; იქვე მოთავსებულია ნავთის ზავოდების და გემების მოდელები, ნავთის სხვა-და-სხვა ზეთები და აგრეთვე ცნობები ნავთის წარმოების შესახებ უკანასკნელი 20—25 წლის განმავლობაში. მესამე პავილიონში (ნობელის) მოწყობილია პანორამა, რომლის საშუალებით თვალ წინ გიდვას მთელი ბაქო. პირველი პავილიონის დიაგრამებიდან ჩვენ სხვათა შორის ვტყობილობთ: ბაქოს ჰქონდა:

წლები	შემოსავალი	გასავალი
1880	235,000 მან.	214,000 მან.
1885	296,000 „	327,000 „
1890	470,000 „	602,000 „
1895	669,000 „	892,000 „
1896	770,000 „	833,000 „
1897	810,000 „	981,000 „
1898	1.070,000 „	1.099,000 „
1899	1.170,000 „	1.280,000 „
1900	1.420,000 „	1.482,000 „

ეს ცხრილი ნათლათ გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება ბაქოს შესავალ-გასავალი. ჩვენ ვხედავთ, რომ ოცი წლის განმავლობაში ბაქოს შემოსავალს მოუმატია 1.185,000 მან. ანუ 504,3% იმავე ხნის განმავლობაში გასავალს მოუმატია 1.268,000 მან., ანუ 591,0%. სამწუხაროთ დიაგრამები არ გვაძლევს ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ გამრავლდა იმავე ხნის განმავლობაში ბაქოს მცხოვრებთა რიცხვი. აქ ჩვენ მოვიყვანთ კიდევ შემდეგ ცხრილს, რომელიც გვაჩვენებს, თუ როგორ არის გავრცელებული სიკვდილი ბაქოს სხვა-და-სხვა ეროვნებათა შორის;

უმთავრეს ეროვნებათა შორის გარდაცვალებულან:

ერები	1897 წ.	1898 წ.	1899 წ.	1900 წ.
რუსები	1,180	1,530	1,940	1,700
გერმანელები	60	60	75	70
ქართველები	15	15	15	15
სომხები	388	430	575	550
თათრები	60	860	930	740
სპარსელები	80	130	250	280

სამწუხაროთ, ეს ცხრილი მნიშვნელობას კარგავს იმიტომ, რომ გარდაცვალებულთა რიცხვი შედარებული არ არის არც მცხოვრებთა საერთო რიცხვთან და არც კერძოთ თითოეულ ეროვნების რიცხვთან. სამაგიეროთ შემდეგი ცხრილი მეტათ საინტერესოა. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, თუ ნავთის ხმარება როგორ არის გავრცელებული, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში და ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებში.

წლიურათ თითო კაცზე მოდიოდა ნავთი გირვანქობით

წლები	ინგლისი	გერმანია	რუსეთი	ამიერ-კავკასია
1891	24,13	30,9	10,14	— (**)
1892	24,32	35,8	9,32	—

**) ამიერ-კავკასიის შესახებ ცნობები მხოლოდ 1896 წ. გვაქვს.



1893	28,15	36,7	11,73	—
1894	31,31	37,3	9,86	—
1895	31,16	38,2	10,7	—
1896	33,50	40,3	11,14	8,6
1897	29,34	41,6	11,15	8,42
1898	39,85	40,8	11,94	8,80
1899	42,09	40,7	13,02	9,40
1900	41,82	41,5	12,78	10,59

ეს ცნობები ნათლათ გვეუბნებიან, თუ როგორ უკან ვართ დასავლეთ ევროპასთან შედარებით. მაშინ როცა ამიერ-კავკასიის თითო მცხოვრები წლის განმავლობაში საშუალო რიცხვით ძლივს ხარჯავს 10 გირ. ნავთს, ინგლისელი და გერმანელი ხარჯავს ოთხჯერ მეტს იმ ნავთს, რომელიც უმეტეს ნაწილათ ჩვენგანვე, ამიერ-კავკასიიდან, გააქვთ. ეს გარემოება ძლიერ ჩამაფიქრებელი უნდა იყოს ყველასათვის.

ბაქოს გვერდით სწორეთ სასაცილოა ჩვენი თფილისი. მისი სპარსულ გემოვნებაზე აგებული პავილიონი სპარსულ წარწერიფურთ მეტათ ახირებულ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე თავის გარეგნობითაც. მართალია წინა საუკუნოებში სპარსეთის კულტურას დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოზე და თფილისზე, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნე, რომლის სამახსოვროთ გაიმართა დღევანდელი გამოფენა, სწორეთ იმითია შესანიშნავი, რომ ეს გავლენა არა თუ შესუსტდა, არამედ სრულიად მოისპო. ამიტომ სრულებით ვერ გავგივია ქ. თფილისის პავილიონის ვერც სპარსული ჩუქურთმა და ვერც სპარსული წარწერა. შევიდეთ თვით პავილიონში. მაგრამ საინტერესო აქ ძლიერ ცოტაა და თითქმის სულ არა ფერი. აქ თქვენ ყურადღებას იქცევს მხოლოდ ის გარე მოება, რომ ამ 26 წლის წინეთ, ე. ი. 1875 წელს ქ. თფილისის სახალხო განათლებისთვის ხარჯავდა მხოლოდ 4.000 მან.; დღეს კი ამ საქმისთვის იგი ხარჯავს 160,000 მან. აი როგორ მატულობდა ეს ხარჯი: 1875 წ. 4.000 მ., 1880 წ. — 18,000 მ., 1885 წ. — 53,000 მ., 1890 წ. — 54.000 მ., 1895 წ. — 67,000 მ., 1901 წ. — 160,000 მ. გარდა ამისა აქ აწყვია თფილისის სახელოსნო სკოლის შევირდების ნამუშევარი. სხვა საინტერესო აქ არა არისრა გარდა ქალის კაბების მოდებისა და ბავშვების სათამაშოებისა. ასეთია თფილისის მონაწილეობა კავკასიის „საიუბილეო“ გამოფენაზე, მაგრამ თუ ასე ისახელა თავი თფილისმა, სამაგიეროთ სხვები სრულებით არ ჩანან: სად არის, მაგ., ბათომი, ფოთი, ქუთაისი? საზოგადოთ ჩვენი მონაწილეობა ამ გამოფენაში თავისი თავის მასხარათ აგდება და მეტი არაფერი.

მოსაუბრე.

† ვილიამ მაკ-კინლეი.

ქალაქ ბუფალოში, სადაც ამ ჟამათ მთელი ამერიკის უზარმაზარი გამოფენაა გამართული, 2 სექტემბერს ნაშუალამევის 2 საათზე გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვ. მაკ-კინლეი (Mac-Kinley). მაკ-კინლეის ქრილობას რომ ასეთი სამწუხარო შედეგი ექნებოდა, ამას ყველა გრძნობდა, მაგრამ ექივები მაინც დიდ იმედს იძლეოდენ პრეზიდენტის გადაჩინაზე. მაკ-კინლეის სიკვდილით ამერიკის შეერთებულ შტატებმა

დაკარგეს ერთი მეტათ გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწე. მაკ-კინლეი, ტომით შოტლანდიელი, დაიბადა 1844 წელს. მისი მშობლები თუმც შედარებით ღარიბი იყო, მაგრამ პატარა ვილიამს საკმარისი განათლება მისცეს. როცა 1861 წელს ამერიკაში სამოქალაქო ომი ატყდა, მაკ-კინლეიმ სწავლას დაანება თავი და ჯარში შევიდა. ახალგაზდა მაკ-კინლეიმ ჩქარა მიაო ის ხარისხი მიიღო. ომის შემდეგ მან ეგზამენი დაიჭირა იურიდიულ საგნებში და დიდ ხანს ადვოკატობდა თავის სამშობლო ოგაიოს შტატში. 1877 წელს იგი არჩეულ იქმნა კონგრესის წევრათ, სადაც თავიდანვე ეკუთვნოდა რესპუბლიკანურ პარტიას და მხურვალეთ იცავდა უკიდურეს პროტექციონურ სისტემას ვაჭრობაში. 1890 წელს მაკ-კინლეიმ კონგრესს წარუდგინა შემდეგი ბილი, რომელიც ორი ნაწილისაგან შესდგებოდა, მაგრამ რომელიც ერთი მიზნით იყო გამსჭვალული: 1) მაკ-კინლეის ადმინისტრაციული ბილი (Administrative Bill) და მაკ-კინლეის Tariff Bill. ეს ორივე ბილი დაკანონებულ იქმნა იმავე წელს, რითაც მაკ-კინლეიმ ერთ და იმავე დროს დიდი თანაგრძნობაც და დიდი სიძულვილიც გამოიწვია ამერიკის პოლიტიკურ პარტიებში. მაგრამ როგორც უნდა იყოს, ამ ბილიმა მას დიდი სახელი მოუხვეჭა, როგორც ამერიკაში, ისე ევროპაშიაც. ხსენებული ბილის პირველი ნაწილი სასტიკ ზომებს იძლევა იმათ წინააღმდეგ, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში შეტანილ საქონელზე დიდ ფასს დაადებს ან და დამალავს; იგი უკრძალავს აგრეთვე უცხოეთიდან საქონლის შეტანას ამერიკაში სხვა სახელმწიფოს გემით, თუ არ ამერიკის. ბილის მეორე ნაწილი ანუ Tariff Bill უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს ადებს დიდ (18%) ბაჟს. ამ ბილის გავლენა იყო დიდი, როგორც ამერიკაში, ისე ევროპაშიაც; ამ უკანასკნელში ამ ბილიმა დასცა მრეწველობის მრავალი დარგი. იმის გამო შემცირდა ამერიკაში საქონლის შეტანა უცხოეთიდან და განსაკუთრებით ევროპიდან, მაგრამ, როგორც მოლოდინი ჰქონდათ არა თუ არ გამოიწვია სამუშაო ქირის აწვევა, არამედ შესამჩნევათ ძირს დასცა იგი. ამნაირათ ეს ბილი კაპიტალისტთა კლასის გასაძლიერებლათ და გასამდიდრებლათ იყო შექმნილი და იგი მართლა დიდი იარაღი შეიქმნა ამ კლასისთვის. სამაგიეროთ მოწინააღმდეგე პარტიებში მაკ-კინლეის ბილიმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ასე რომ 1892 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, მაკ-კინლეის პარტია საშინლათ დამარცხდა და პრეზიდენტათ არჩეულ იქმნა კლიველენდი, თუმც იმავე დროს თვით მაკ-კინლეის სახელი უფრო გადიდდა, მაგ., 1893 წელს იგი დიდი უმეტესობით არჩეულ იქმნა ოგაიოს გუბერნატორათ. 1896 წელს კი მაკ-კინლეი არჩეულ იქმნა უკვე შეერთებულ შტატების პრეზიდენტათ 7.623,234 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6.499,365 ხმისა, რომელიც მიიღო დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა ბრაიანმა. კიდევ უფრო დიდი უმრავლესობით მაკ-კინლეი არჩეულ იქმნა პრეზიდენტათ მეორეჯერ 1900 წელს. ამნაირათ მაკ-კინლეი თავიდან ბოლომდე მტკიცეთ ადგა მფარველობითი სისტემას, თუმც ამ უკანასკნელ დროს, როგორც ჩანს ბუფალოში მის მიერ უკანასკნელათ წარმოთქმული სიტყვიდან, იმის შეხედულება ამ საგანზე რამდენიმეთ შეცვლილა. მოულოდნელმა სიკვდილიმა შესწავიტა ამ მხნე, მეტათ გაბედული და ბეჯითი პოლიტი-

კური მოღვაწის სიცოცხლე, რაგვარ მოღვაწეთ მხოლოთ ამერიკის თავისუფალი ცხოვრება ქმნის.

სწავა-და-სწავა აძებნი.

იმ გბრავლებს, რომელთაც უმსახურნიათ ჯარის კაცთ თუნდ სულ მცირე დროსაც კი, უმართებელესი სენატის ახსნით ნება ეძლევათ იცხოვრონ რუსეთის იმპერიის ყველა ადგილებში.

ორ სექტემბერს ოზურგეთში გაიხსნა კერძო პროგიმნაზია ქალებისა პროფესიონალური განყოფილებით. ჯერჯერობით გაიხსნა დაბალი, მოსამზადებელი და პირველი კლასები. სასწავლებელში შესვლის სურვილი უკვე გამოაცხადა 120 ქალმა.

ქ. ოზურგეთის რწმუნებულთა რიცხვის შესავსებლათ მთავრობის განკარგულებით ახლო მომავალში უნდა მოხდეს ახალი არჩევნები.

ნ. ი. თამაშშვეს მიუცია თხოვნა თფილისის გუბერნატორისთვის, რომ ნება დართონ მას, გახსნას რკინის გზის სადგურთან მუშათა ბიურო. აქავე იქნება უბინაო მუშათათვის ღამის თავშესაფარიც.

ამ ბოლო დროს თფილისის ტრამვაის მოსამსახურეთა ნახევარი რიცხვი დაითხოვეს და მათ ადგილას მიიღეს ახლები. ჩანს ტრამვაის გაფეგობას ძრიელ ჰყვარებია «ცელილება» მხოლოთ თავისებურათ კი!

პარასკევს, 7 სექტემბერს, ნაშუადღევს მეექვსე საათზე საგანგებო მატარებლით ჩამობრძანდნ ბორჯომიდან თფილისში: მისი უდიდებულესობა საბერძნეთის დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული, მისი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მისი უმაღლესობა დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე და მეუღლე მისი დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული მათი ქალთურთ, დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული და საბერძნეთის პრინცები ქრისტეფორე და ანდრია.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ნება დართო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებებს გამართოს კრებები ხუთმეტ სექტემბრიდან ოცამდე მეღვინეობის, მევენახეობის, საოჯახო მრეწველობის, საქონლის მოშენების და მერძეეობის შესახებ.

კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტის განკარგულებით, 5 სექტემბრიდან გამოფენაზე შესასვლელი ფასები ასე შეიცვალა: ღღისით, გამოფენის უმთავრეს პავილიონის დახურვამდე ეღირება 20 კაპ., საღამოს 30 კაპ. კვირა-უქმე დღეებში კი ღღისით 10 კაპ. საღამოთი 20 კაპ. ფასების დაკლებიდან გამოფენას ხალხი შესამჩნევათ მოემატა.

თბილისის საქალაქო სკოლებში შესვლის მსურველთა რიცხვი იყო 800-დე; უადგილობის გამო მიიღეს მხოლოთ ნახევარი.

განზრახვა აქვთ საბეითალო ინსტიტუტში ქალებს მიიღონ.

მომავალ საიუბილეო დღესასწაულის ხარჯისთვის თბილისის პოლიცემისტერს გადაეცა 25,000 შ. ამ ფულიდან 5.000 მანეთი უნდა დაიხარჯოს კავკასიის ჯარების ვეტერანებისთვის დღესასწაულის გასამართავათ და 20,000—ხალხის გასამასპინძებლათ.

ახალქალაქის ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია დაუთმოს ქ.-შ წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 30 ოთხ-კუთხი საყენი მიწა, ამ მიწაზე ხსენებულ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია აავოს შენობა სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკის მოსათავსებლათ.

წელს მარტისა და აპრილის განმავლობაში ქიათურიდან გაუტანიათ ბათუმისა და ფოთის ნავთსადგურების საშუალებით 4,071,807 ფუთი შავი ქვა ღირებული 981,482 მანეთათ.

მთავრობას განუზრახავს შესცვალოს სოფლის მწერალთა ინსტიტუტი. სოფლის მწერლათ უნდა დაინიშნონ განათლების და განსაკუთრებულ მომზადების პატრონნი.

კორესპონდენციები.

ჯუმათი. (გურია). ცხელის გაზაფხულის და წვიმიანის ზაფხულის გამო სიმიწი და ღომი საყოფი არ მოგვდის; უურძენი «იხაბულა» მოსაკრეფათაც არა დის; ნიკოზის (კაკლის) მოსავალს არა უშავს-რა. მსხობულ სოფელში, ჩოხსათში მეტათ აღვირ-ახსნილია ღამის რანდები, კვირა არ გავა, რომ ორი-სამი ცხენი არ მოიპარონ; ამ ზაფხულზე სამოცამდე ცხენი გარეკეს. რომ კითხეთ ქურდი არ იცინა: ზოგი ყანაღებს ახალღებს, ზოგი კიდეკ სხვას... მაგრამ ყველანი შინაური რანდები ბრძანდებიან.

აქ გულის შემზარავი მკვლელობა მოხდა: ხვარბეთის, გურიანთის, ჯუმათის და ჩოხსათის საზღვრების შესართავთან მდინარე სუფსაში 3 ამ აგვისტოს მეთექვსე ბავშვებმა ნასეს უცნობი დამსხვავი გაცის გავა; საწყალი გარდაცვალო, მარტო პრანგის ამარა, ფეს-მიშეკა, სელე-გაკრული, ქვებით დატვირთული წყალში გადაკვდით. პოლიციამ მიიღო ყოველივე დონის-მიება დამნაშავეს აღმოსაჩენათ და უცნობის გამოსაცნობათ, მაგრამ ამათ.

წელს ჯუმათის იარმუკაშიც მოხდა ერთი უბედურება: კიდეც უცნობმა პირმა მოკაცურ ებრავლი ხანჯლით დასტრა და გააქცა, ყანაულები დამნაშავეს დაუდგნენ, მაგრამ ვერ დაეწიენ; დამნაშავეს ვინაობა პოლიციამ გაიგო: ის აღმოჩნდა ს. ჩოხსათის გლეხი გ. ტ.-ში; ექიმის ახრით, ებრავლის ტრილობა საშიში არ აღმოჩნდა; მესამე დღეს ამსანაგებმა დატრავილი ებრავლი ქუთაისის საავამთოფოთში გაგზავნეს. დანარჩენში კი ჯუმათის ახლათ გამოწვეული აგვისტოს 15 დღის იარმუკამ (ჯუმათობამ) ძლიერ კარგათ ჩაიარა: მოსკლ ვაჭრებს კარგი ვაჭრობა ქტანდათ, სოფლიდან ყოველ-ღვე აუარებელი ხალხი მიდიოდა, სამიკიტნობიც სსომინდელზე მეტი იყო; აქ იყიდება მოდინილი თს-ცხვარი და სხვა შინაური პირუტყვები, გიდე-გოდორ-კალათი, ტილოთი ადგილობრივ დამზადებული და ყოველგვარი სოკვასო იარაღი.

ს. ჩ შვილი.



სოფ. სიმონეთი. (ქუთაისის მხრის) იშვიათათ შეს-
ვლით ზემო იმერეთში ბუნებით ისე უხვად დაჯილდოვე-
ბულ სოფელს, როგორც სიმონეთის; მაგრამ ამასთანავე ძვი-
რათ მოაზრებებს სწავლა-განათლებასში მასვეით ჩამორჩენილი
და დაქვეითებული.

მართლაც, სიმონეთში დიდი სანია აწესებებს ერთ-გლა-
სიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელმაც ამ სანგრძლი-
ვი დროის განმავლობაში მოკლეთ გარკვენი ცვლილება გა-
ნიცადა: სის შენობის ნაცვლათ ასლა ქვის აქვს. რაც
შეესება მის შინაგან წინ-მსვლელობას, ამ მხრით დროე-
ბას მის ცხოვრებაში დღემდის არავითარი ცვლილება არ შე-
უტანია: სასწავლებელი ისევე იმ წესობაზე არის. ამის მიზე-
ზათ ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი.

ამ ბოლო დრომდის არც ერთი მასწავლებელი დიდხანს
არ შეჩენია სხენებულ სასწავლებელს, რაც უკველია, ცუდით
იმოქმედებდა სასწავლებლის მდგომარეობას. მასწავლებლები
გულგრილათ შეუერთებენ სკოლას და მათ სულში მას არა-
ვითარი ნიშანი გაუმჯობესებისა არ დატოვებია. ამ უამათ,
აგრე მეექვსე წელიწადია, რაც ამ სასწავლებელში მასწავლებ-
ლათ არის სიმონეთის მკვიდრი ბ-ნი გოჭაძე, რომელიც,
სიმატლუ უნდა ვთქვათ, გულით და სულით ცდილობს სკო-
ლას ადრამინოს და სიმონეთის მცხოვრებთა შორის სწავლა-
განათლება გაავრცელოს. სსკათა-შორის აღნიშნავთ, რომ
მხოლოდ მისი მეცადინეობით გაიძარცა სკოლასთან ზატარა
ბაღი, სადაც მოწაფეები მეურნეობას პრაქტიკულათ ეცნობიან.
მისივე მეცადინეობით ს. სიმონეთის 1899 წ., ზაფხულზე,
სკოლის მხრენველ-ზედასმდეველათ ნაცვლათ გარდაცვალებულ
ქ-მისა—ლიჩხია აჯამეთში მცხოვრები ბ. მ. ა—მე ახანოვი,
რომლის დიდი იმედები გვექმნდა, როგორც შეძლებული პირის,
თუმცა, ეს იმედები ჯერ-ჯერობით არ გამართლებულა: ბ. ახან-
ოვის ჯერ არცაი უნახავს სიმონეთის სასწავლებელი.

ს. სიმონეთის საზოგადოების მკვიდრთა შორის არიან
განათლებული პირებიც: დაბალი საშუალო და სუთიოდ უმა-
ღლესი განათლებით აღჭურვილნი, მაგრამ დღეს სსკა-და-სსკა
ადგილას მსახურებენ, სიმონეთის სასწავლებელი გი—ეს დიდა
აგვიჩინა—სადაც ბევრი მათგანი გაკეთა დედა-ენას მათგან უმუ-
რადღებოთ არის მიტოვებული.

წარსულს 1900 წელს სიმონეთში ყრილობა მოხდა,
სსკებულე სკოლას ორ-კლასიანი სასწავლებლათ უნდა გადაკეთ-
თებოთ. დიდი სისარულით ვეგებებოდით ამ დღეს და ვიმედობ-
დით მიზანის მისწევას, მით უფრო რომ სასწავლებლის ორ-
კლასიანათ გადაკეთება თითქმის არავითარ ხარჯს არ თხო-
ლობდა სოფელელებისგან, რადგანაც, თანხმით ასალი გარდაწ-
ვეტილებიან, ოქქას მხრენველთ შეუძლიათ ორ-კლასიანი
სასწავლებლის შესანახი ხაზინიდან ათას მანეთამდე ინარჯონ
წლიურათ.

მ. ბერძულიშვილი.

ზიადურა. შარშან, როგორც ესომუხათ მკითხველებს,
შავი-ქვის მწარმოებელთა კრებაზე ქუთაისში დიდი კამათი იყო
გამოწვეული იმის შესახებ, რომ ჭიათურის პლატოფორმებზე
ანუ ქვის საწოლების გზებზე ფანრები ყოფილიყო გაკეთ-
ბული, რაც ეთხოვა რკინის გზის მართველობას, და კიდევ
აღკვეთიჭა იმედი რკინის გზის მართველობის წარმომადგენე-
ლმა ბ. კარპოვმა, რომ უსათუოთ თქვენ თხოვნას შეეპირე-
ლებოთ. მას შემდეგ მართლაც გააკეთეს ბოძები და ფანრებიც
მოუვიდათ, მაგრამ დღემდის, სამწუხაროთ, განათებას არ

ვლარსებოვართ. ხოლო საჩვენებლათ გი დაგვანახვეს და ჩამო-
დენიმი თვის შემდეგ ფანრები მოსსსეს და შეინახეს რკინის
გზის სადგურთან, და დღეს მარტო ბოძებს შეგნებოვართ.
ახა სად გაგონილა ფანრის ადგილი ბოძს დაქვიროს! რაცა სა-
შინელი ბნელი დამე არის და მასთან გაავრცელებიც, თუ ფა-
ნარი არ იშოვა კაცმა საშიშარი გასავლელია ქვის საწოლებ-
ზე. ისე გვარდს ვერ შეუვლი ქვის მთებს, ზედ რომ არ წა-
ავლე და სხინაც მუხლებამდე ჩავარდები. ნამეტურ რომდესაც
უცხო ვინმე მოდის ჭიათურაში, დამით მეტათ ძრეულ განსა-
ცვლელში ვარდება, თუ დაპირა სადგურიდან გაღმა გავიდეს
უფანროთ და ფანარს სად იშოვის, თუ თან არ ექნა წამოღე-
ბული. სადგურთან თუ დარჩა, დამის გასათუვი ბინაც არ
არის, ისევე სადგურის ბუფეტში უნდა ათიოს დამე, მეტი გზა
არ დარჩენია. ამ მხრით სწორეთ დიდ გაჭირებაში ვართ ჩა-
ვარდნილი. მე გგონია ამ მდგომარეობისათვის გი უნდა მიექ-
ცია უურადღება საბჭოს, მაგრამ საბჭო ქუთაისიდან ჭიათურ-
ლების გაჭირებას ვერ ნიშნავს. რკინის გზის მართველობა
რომ კიდევ გაღებული არ ყოფილიყო, ცოტა რამ საბჭოსაც
ეჭრუნა ამ საქმისათვის ურიგო არ იქნებოდა და გავეუთებინა
ფანრები იმ გზებზე მანც, სადაც უფრო სშარათ სალხი და-
დის და გამოკსნა იგი გაჭირებისაგან.

ი. მეთვალყურე.

რუსეთის ცხოვრება.

სასალხო განათლების სამინისტრო მომავალი წლის და-
მლევს შემოქმადებს განსაკუთრებულ განონებს შესახებ იმისა,
თუ როგორ უნდა მოაწონ საზოგადო განათლების გურსები
მოზრდილთათვის.

== როგორც ისმის სასალხო განათლების სამინისტ-
როში მორიგ საქმეთა შორის დანიშნულია კითხვა შესახებ
თავისუფალ მსმენელთა მიღებისა უნივერსიტეტებში, რომელთა
მიღება უნივერსიტეტებში ამ უამათ ძრეულ შეზღუდულია.

== ზეტურბურგში არსდება ასალი საზოგადოება, რომ-
ელსაც მიზნათ ავადმყოფ მუშათა დასმარება ექნება. საზო-
გადოება ავადმყოფებს დაურეგებს წამლებს უფასოთ, მოათავ-
სებს საავადმყოფოებში და ასლათ მოჩჩენილთ აღმოუჩენს
ფულით დასმარებას.

== სულმწიფე იმპერატორმა შინაგან საქმეთა მინისტრის
მიერ წარდგინელ უქვეშევრდომილეს მოსსსენებაზე შესახებ ფინ-
ლიანდიის ფოსტის ბეჭდის შეცვლისა უმადლესათ ინება, რომ
ფოსტის ბეჭედზე გამოსახულ იქმნას რუსეთის სასულმწიფოს
ღერბი რუსული წარწერით; გარდა რუსული წარწერისა ეწერე-
ბა აგრეთვე ადგილობრივ ენაზედაც, ხოლო იქ, სადაც ერთს
და იმავე ადგილს სსკა-და-სსკა სასულია ქქვიან ფინურათ და
შვედურათ, ამ ორსავე ენაზე დაეწერება.

ამას გარდა ფინლიანდისაში სასულმწიფო დაწესებულებებ-
ში მიიღებენ მხოლოდ იმისთანა პირთ, რომელთაც რუსული
ენა იცანი.

ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ .

ფაერთიბული ფბატბი.
— გაზ. „როსსია“-ს სწერენ ლონდონიდან: შეერთებუ-
ლი შტატების მოქალაქეები მეტათ გაბოროტებულნი არიან
ანარქისტების მოქმედებით, ამიტომ გადასწვიტეს ეველგან
ადგილობრივი კომიტეტები დაჯარსოთ ანარქისტთან საბრძო-
ლველათო. თუ საჭირო იქნება, კომიტეტები „ლინიის კანო-

ნით » გასამართლებენ ანარქისტებს, აქვე იგი თავიანთ სიკუთარის ხელით აუკებენ ანდერძსა.

ვაშინგტონის მთავრობა მალე ასევე კანონს წარუდგენს სენატს. ამ კანონით ანარქიზმი მკენე მოძღვრებათ იქნება ცნობილი და მისი მიმდევრები სასტიკათ დაისჯებიან. უცხო სასკლემწიფოების ქვეშევრდომ ანარქისტებს, ალბათ შეერთებული შტატებიდან სულაც განდევნიან.

ლონდონის გაზეთები აქებენ ვაშინგტონის მთავრობის განზრახვას და უჩივიან ინგლისის მთავრობას შეერთებულ შტატების მთავრობისათვის ანარქისტების წინააღმდეგ კანონი გამოსცეს. წინათ რომ სხვა სასკლემწიფოებმა ანარქისტების წინააღმდეგ კანონები გამოსცეს, ინგლისი არ მიემხრო ამ საერთა-შორისო დადგენილებას, მაგრამ ამ ბოლო დროს ინგლისელებმაც ახრი იცვალეს და შესამდგებლად, რომ მოკლე ხანში ინგლისმა ანარქისტებს ნება აღარ მისცეს, ინგლისში იცხოვროს.

დეპუტებმა აშავი მოიტანეს, ჩაატარეს თავისი ბოლო-მოქმედება ანარქისტი ქალის ემმა გოლდმანის გაკლენით ჩადინაო; ეს ქალი ამ უამათ დატუსაღებულია.

— ასალი პრეზიდენტი ტეოდორ რუზველტი დაიბადა 1858 წელს ქ. ნიუ-ორკში. თემცა რესპუბლიკულ დასის წევრია, მაგრამ თავის დასს გარდა, სხვა დასებიც დიდს ზეტივსა სტყენ. რუზველტმა ჯერ 1898 წელს ესპანისთან ომის დროს გაითქვა სასკლი. შემდეგ ნიუ-ორკის შტატის გუბერნატორათ იყო აჩიული და აქაც თავისი მსხე-მოღვაწეობით დიდათ იხსილავ თავი. იგი იმ აზრისაა, რომ ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში უნდა გაეროოს. ამას გარდა მონროის დეკლარაციის მომხრეცა: „ამერიკა-სერეკულათავისაო“. მისი აზრით, ევროპის სასკლემწიფოებს სრულებით უფლება არა აქვთ ამერიკის სასკლემწიფოების საქმეში გაერონ.

რუზველტი არც საშინაო საქმეებს ივიწებს. რუზველტი დიდათ მოწადინებულია რესპუბლიკის სამოქალაქო სამსახურის რეფორმას მოახდინოს. ამერიკაში ამნარი წესია მიღებული: რომელი პარტიაც გაიმარჯვებს აჩივანში, ყველა წინანდელ მისამსახურებს გადაუყენებს და სულ თავის დასის მომხრეებს დანიშნავს სოლმე. მექრთამეობა თავისუფალ, განათლებულ ამერიკაშია მღიერა გაგრელებული. ამერიკელებს წეინდაო ეს წესები. დიდი ხანია წერით თუ ლაზარავით ცდილობენ, საჭირო რეფორმები მოახდინონ. თემცა კონგრესმა გამოცდა ვიდევ კანონი ასეთი წესების წინააღმდეგ, ძაინც საქმეს არ ეშველა. რუზველტი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ამისთანა წესებისა და როცა ნიუ-ორკის შტატის გუბერნატორათ აჩიიეს, თავისი აზრები ასრულა ვიდევ. ერთი მოსკლევ არ გამოეცვლია იმ საბუთით, რომ აქარ და ჩემი დასის არა სარ, არც მსასურში შევიძლიანო. ესლაც, როცა პრეზიდენტის თანამდებობის ასრულებას შეუდგება, რასაკვირველია, ეტლება თავისი აზრები განასრეცილოს.

რუზველტი ჯერ ჯანით და ღონით სავსე კაცია: შარშან რომ პრეზიდენტს იჩივდეს, რუზველტმა 8 კვირის განმავლობაში 24 შტატი და 567 ქალაქი მოიარა, 21,900 ინგლისურა მილი გაიარა და 673 ადგილას ილაზარავა.

გაზეთები მასს არ იღებენ იმაზე, თუ რა აზრისაა რუზველტი სხვა სოციალურ საქმეების შესახებ, რანარი აზრისაა, მაგალითათ, ყოველად ძლიერ სინდიკატებზე, ტრესტებზე და სხვ. მაკინლეისავით მათი მოსარჩლე და მსასურია, თუ არა. ფოლადის სინდიკატსა და მუშებს რომ ბრძოლა ქვთ, მაკინლეიმ კრინტიც არ დასძრა, თითქო ეს დამღუ-

შველი ბრძოლა ამერიკაში ვი არა სადმე უცხო ქვეყნებში იფილიოს. მეშების მეთაურს შეფერს ვიდევ შეეთვალა: რას გაჩემებულსარ, სმა ამოიღე, ერთი შენი აზრიც გავიგოთო. აჩივანი უნდა იყეს, რომ მალე აცლანარკებდითო, მაგრამ რას იზამ, ჯერ ვიდევ დიდი ვადა გაქსო. შეფერი და მისი მიმდევარი მუშები თურმე აჩივანის დროს მაკინლეის მსარეს ყოფილიყენ. ესლა შეფერი ძლიერ ნანობდა, შეეცდით, რომ დემოკრატების განდიდატს ბრანის ვულაატო და სინდიკატების მოსარჩლეს მაკინლეის მიეუღებოთო.

სამხრეთ-აზრიკა. ლონდონში ტრანსკაალის მოქალაქე დოქტორი კრაუსე დააზრტიმრეს. დეპუტიდან ვიცით, რომ კრაუსე პრეტორიის ციხის უფროსი იყო. როცა პრეტორია რობერტსმა აიღო, კრაუსე ლონდონში წამოვიდა. კრაუსე ნიჭიერი ადოკატი ყოფილა და ლონდონშია იმ ხელობით ცხოვრობდა თურმე. ოსთვის დაიჭირეს კრაუსე, ეს ყველასათვის საიდუმლოებას შეადგენს. ინგლისის მთავრობა რაღაც შეთქმულები გამართვას აზრავსო, ვითომ რაღაც ქაღალდები და წერილებიც ვი უშოკესო. კრაუსესთან ერთათ პრეტორიაშიაც ვიდევ რამდენიმე სხვა ბურიც დატუსაღებიათ. ინგლისის მთავრობის გული სომ კერ მოიგო კრაუსემ, მაგრამ არც თუ ბურები ჭვას თურმე მადლოერი. ესენიც თითქმის მოღალატეო სთვლიდენ კრაუსეს. როცა კრეიგერსა და მის დაახლოვებულ ბურებს გაუგიათ, კრაუსე დაატუსაღესო, ერთ ბურს წამოუძახნია:

«ინგლისელებს ესლა ის ღა ავლიათ, რომ თითონ ჩემბურლებიც დაატუსაღებო».

— ინგლისის პეტრიოტებმა გაზეთებმა უკვე გაათავეს ინგლის-ტრანსკაალის ომი და რესპუბლიკელებიც შემოუერთეს დიდ-ბრეტანისა; მაგრამ მათდა სამწუხაროთ ყველა ეს მსოლოთ მათსაკე გაზეთის ფურცლებზე მოხდა; სოლო რაც შეესება თვით ბურებს, ესენი ისევე ისე გამოვავებულნი იბრძვიან და იმედს არა კარგვენ, რომ მათი სამშობლო განთავისუფლდება. თვით ინგლისის მთავრობა თავისი წინ დაუსადავი პოლიტიკით ესმარება ბურებს ომში. მათ თავისი სასტიკი მოქმედებით კაპის-ასალშენკში მცხოვრებთა სიკვდილით დასჯით, მინდურების განადგურებათ და სხვა მარავალი მტარვლური მოქმედებით გამოიწვიეს ის, რომ დღეს 10,000 ჭოლანდიელმა უკვე წავლო იარაღს ხელი და ბურების მსარეს გადავიდა. კაპის ასალშენში ითვლება 60,000 კაცი, რომელსაც ვი შეუძლიან გამოვიდეს ბრძოლის ველზე და ინგლისის მთავრობის მოქმედება თავდება იმით, რომ ესენიც მალე წავლებენ იარაღს ხელს. მასსადაჟე, თუნდ მართლაც, ბურები ერთ-თავათ გასწედენ ინგლისთან ბრძოლაში, ინგლისს უჩნდება მეორე ტრანსკაალი კაპის ასალ-შენის სასით.

საზრანგეთი. იესუიტთა კონგრეგაციები სხვათა-შორის ელზას-ლოტარენშიაც მიდიან დასასახლებლათ. გერმანიის იმპერატორმა მათ ამის ნება მისცათ, მსოლოთ იმ პირობით, თუ იესუიტები გერმანიის ქვეშევრდომობას მიიღებენ. ბურები დიდი სიამოვნებით დასთანსმებიან. სოლო როცა ისინი საფრანგეთის მთავრობას ებრძოდენ თავის გამათხსინრებულ კანონების შემოღების შესახებ, გულში მჯიღს იცემდნენ და გაიმსოდენ იღუბება ჩვენს საყვარელი სამშობლო საფრანგეთო. მათ მიერ გერმანიის ქვეშევრდომობის მიღება ნათლათ ამტკიცებს, როგორც ჭყვარებათ ბურებს თავისი სამშობლო. ესპანაც დიდი სიამოვნებით უღებს კარს საფრანგეთის იესუიტებს. ვაზ. «მატენი» იუწებს, რომ კარტეზიელები ესპანიაში ესახლებიან, მათ უკვე გავზავეს იქ თავისი



დიდი წიგნთ-საცავი, გავსავსებს აგრეთვე მონასტრებს მარ-
ნებში 600 ბოჭკა, რომ იქიდან ლიბრები წაიღონ თან.
ამ კონგრეგაციას მონასტრთან საკუთარი განთქმული არის
ქარსანა ჭქონდა გამართული, სოლო რადგანაც მონასტრში
დაისურა ეს ქარსანაც დაისურებო.

გვიჩვენა. მეტი სანტონისა რით დაბოლოვდება
ბურღინის თვითმართველობის და იმპერატორ ვილჰელმ II შუა
მომხდარა კონფლიქტი, რომელსაც დიდი ურთაღობით ადგე-
ნებს თვალყურს გუბნის ე.ი. საქმის გარემოება შემდეგია.
ბურღინის საბჭომ ქალაქის მოურავის ამხანაგათ აირჩია ცნ-
ბილი მოღვაწე გაუფმანი, მაგრამ იმპერატორმა არ დაამტკიცა
იგი ამ თანამდებობაზე. დაუმტკიცებლობის მიზეზი გაუფმანი-
ის პოლიტიკური მიმართულება შეიქმნა: როგორც რეისიტა-
გის დეპუტატი, იგი თავისუფალ მოაზრებას ჰატყობს წევრია.
წინეთ გაუფმანი ყოფილა გუბნიის ოფიცერი, და მისი რადი-
კალურ დემოკრატიულ მიმართულების გამო—იგი იყო სსკათა
შორის დემოკრატიული კლუბის, «ვალდების» თავმჯდომარე.
ამხანაგებმა (ოფიცერებმა) ამ ოცი წლის წინეთ უღიარებთ ცნეს
სამსუდრო მუნდირი ეტარებია. და აი სწორეთ ამ მიზეზით
ვილჰელმ II არ დაამტკიცა იგი სსკებულ თანამდებობაზე.
საბჭოს თითქმის ყველა ჰარტიები ამ მოქმედებაში სედავენ
თვითმართველობის პრინციპის დარღვევას; და ამიტომ ასლა
მოწინააღმდეგებინდ მისი მომხრე შეიქმნენ, რადგან აქ ვითსკა
საბჭოს უფლებებს ესება და არა კერძო კანდიდატს, და თით-
ქმის ერთმანთ დაადგინეს მეორე არჩევნებზე იგივე გაუფმანი
ამოაჩინონ. მართლაც იმპერატორს უფლება აქვს მეორეთაც
არ დაამტკიცოს გაუფმანი, და თვით დანიშნოს მის ადგილას
გინძე, მაგრამ ყველა ჰარტიები ამ ასრს ადგანან, რომ ვიდე
ასე უნდა სსკმის დაბოლოება, ვიდრე თავის სურვილის წი-
ნაადმდეგ წავიდეთ.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გუზინ და დღეს.

II.

წინა წერილში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ მიე-
გება ჩვენი მოწინავე თაობის სხვადა-სხვა ნაწილი—პრო-
გრესიული და კონსერვატიული—კაპიტალიზმის აღორ-
ძინებას ჩვენში. ახლა საჭიროა განვიხილოთ, რა ცვლი-
ლება გამოიწვია უკვე კაპიტალიზმმა ჩვენ ცხოვრებაში
ერთი მხრით და მეორე მხრით ჩვენ აზროვნებაში.

კაპიტალიზმისათვის ორი აუცილებელი პირობა არის
საჭირო: ერთი მხრით თავისუფალი კაპიტალი, მეორე
მხრით თავისუფალი სამუშაო ძალა. კაპიტალიზმის აღორ-
ძინების პირველ ხანებში ჩვენ ერს ჰქონდა მხოლოდ თა-
ვისუფალი სამუშაო ძალა, კაპიტალი კი მას არ გააჩნდა
და ამიტომ ჩვენ სამუშაო ძალას უცხო ტომთა კაპიტა-
ლი ამოუღდა გვერდში: ამგვარათ კაპიტალიზმს პირველ
ხანებში წინ ეწეოდნენ სხვისი ფული და ჩვენი შრომა. ამ
ფაქტს როგორც კაპიტალიზმის განვითარებისათვის, ისე
ჩვენი ცხოვრებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონ-
და, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ მწვრლობას ამისთვის
არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. უცხო კაპიტალ-
მა 1) გამოაღებია ჩვენი ერის სამუშაო ძალას მეტი ნაყო-
ფი, ე. ი. ჩვენი ერის ერთ ნაწილს ლუკმა პური გაუჩინა,
2) მან გაანაყოფიერა და გაამრავალმხრივა ჩვენი ერის
შრომა, ე. ი. გაზარდა ჩვენი ერის საწარმოვეო ძალა, 3)
მან გაათავოთოვა ჩვენი ერის მოთხოვნილებანი და ამით
გაავანერა ჩვენი ერის გონებრივი ჰორიზონტი, 4) მან

დააჩქარა ქართული კაპიტალის წარმოშობა და ყოველი-
ვე ამით ხელი შეუწყო ერთი მხრით კაპიტალიზმის გან-
ვითარებას ჩვენში, მეორე მხრით ჩვენი ერის იდეუ-
რათ გაერთიანებას. სარგებლობასთან ერთათ უცხო კაპი-
ტალიზმა ჩვენ ერს დიდი ზარალი მოუტანა და დღესაც
მოაქვს მით, რომ ჩვენ მდიდარ სუფრაზე ჯერჯერობით
ნამცვეცების მეტს არას გვანებებს.—ეს აშკარაა, მაგრამ
მართო ზარალის დანახვა და სარგებლობის უარყოფა,
როგორც ამას ბევრი შერება ჩვენში, ისეთივე შეცდომა
არის, როგორც მართო სარგებლობის დანახვა და ზარა-
ლის დამალვა... ნელ-ნელა დაიბადა ქართული კაპიტა-
ლიც. ჯერ კიდევ სუსტი ნაბიჯით შემოდგა მან ფეხი
ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ, რაც დრო გადის,
ქართული კაპიტალი ჩვენი თვალის წინ იზრდება და ვი-
თარდება და, თუ სრულებით ვერ განდევნის უცხო კა-
პიტალს, მძლავრათ მინც ამოუდგება მას გვერდში და
თავს აღარ დაიხვედრინებს. კაპიტალიზმმა ერთმანეროს
დაუახლოვა ჩვენი ერის სხვა-და-სხვა ნაწილი და მათი
ეროვნული თვით ცნობიერება განავითარა, მან ერთმა-
ნერთისათვის საჭირო გახდა ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა
კუთხეები: ერთი კუთხის მცხოვრები იძულებული გახდა,
მეორე კუთხეში გადვიდეს, ერთ კუთხეს ჰირდება მეორე
კუთხის სხვა-და-სხვა ნაწარმოები და ყოველივე ამან კი
გამოიწვია ქართველობის გაერთიანება; მართალია, ეს
პროცესი ჯერ არ დამთავრებულა, ეს ახლო მომავალს ეკუ-
თვნის. ამგვარათ ის, რაც ვერ შეძლო დიდებულმა და-
ვითმა, თამარმა და გიორგი ბრწყინვალემ, შეძლო და
მოახერხა კაპიტალიზმმა სულ რამოდენიმე ათეული წლის
განმავლობაში. ქართული კაპიტალიზმის აღორძინებამ
ჩვენი ერის სხვა-და-სხვა ნაწილს შუა ხაზი გაავლო და,
რაც დრო გადის, ეს ხაზი თანდათან უფრო ღრმავდება:
ერთ მხარეზე გროვდება ფულის პატრონი, მეორეზე ცა-
ლიერი სამუშაო ძალის პატრონი; პირველია შრომის
მკიდველი—ბურჟუაზია, მეორე შრომის გამყიდველი—
მშრომელი ხალხი. პირველის როლი ცხოვრებაში სხვა
არის, მეორისა სხვა, რასაც ქვემოთ გამოვარკვევთ, და
ამიტომ ეს არ არის ერის დაყოფა მდიდრებათ და ღარი-
ბებათ,—მდიდრები და ღარიბები ყოველ დროს იყვენ:—
ეს არის ჩვენი ერის სოციალურ კლასებათ დაყოფა ეკო-
ნომიურ ნიადაგზე. ამგვარათ კაპიტალიზმმა ქართველო-
ბა გააერთიანა ეროვნულ ნიადაგზე, ხოლო დაყო ეკო-
ნომიურ ნიადაგზე.

სოციალური კლასების აღორძინებამ ჩვენ ცხოვრე-
ბაში აშკარათ დანახვა ყველას, რომ ჩვენში სამუდამოთ
ირღვევა ბატონყმური წყობილება და მის ალავს იჭერს
ახალი, კაპიტალისტური ანუ ბურჟუაზიული. ეს ახალი
წყობილება კი ცოცხს უსვამს ფეოდალურ არისტოკრა-
ტიას და მის ალავს აყენებს ფულის არისტოკრატას.
კაპიტალი მეტათ ცინიკურათ ეპყრობა შთამომავლობას
და გვარისშვილობას,—მას არც ერთი ეს არა წამს; მის-
თვის არსებობს მხოლოდ მდიდარი და ღარიბი, ფული-
ანი და უფულიო; ვის ხელშია ფულია, მისი მფარვე-
ლიც ის არის, გინდა თავადი იყოს, გინდა გუშინდელი
მონა. თავად-აზნაურობა ძველის წყობილების ნაანდერ-
ძვე სახეს ჰკარგავს, ახალი პირობების მიხედვით იცვლება
და სოციალური კლასების შემადგენელ ნაწილებათ ხდება:
ერთი მხრით ბურჟუაზია რიცხვში ვადადის, მეორე მხრით

პროლეტართა რიცხვში. ჩვენი ცხოვრება აშკარათ გვიჩვენებს, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის უმეტესობა პროლეტართა კლასში გადადის.

ჩვენი ფეოდალური არისტოკრატის დაღუპვის აუცილებელი მიზეზიც სწორეთ აქ მდგომარეობს და არა მის დავალიანებაში, ან სხვა რაიმე წერილმან გარემოებაში: ცხოვრების ძველი წყობილება მიდის და მას უკან უნდა გაყვეს მისი პირმშო—ფეოდალური არისტოკრატია.

ზემოთ ნალაპარაკვიდან გამოიჩვენა ერთი გარემოება: კაპიტალიზმის აღორძინების პირველ ხანებში შრომის წარმომადგენელი მხოლოდ ჩვენი გლეხობა იყო, დღეს კი გლეხს გვერდში ამოუდგა აზნაური და მას მალე მიყვება თავადიც; ეს საუკეთესო მაგალითია იმისი, თუ რამდენათ არღვევს ძველ ურთიერთობას წარმოების ახალი ხანა. კაპიტალიზმის აღორძინებასთან ერთად ჩვენი ქვეყანა ეკონომიურათ დაუკავშირდა ევროპას, ეს კავშირი ჩვენ ფსიხოლოგიაშიც შესაფერ ცვლილებას ახდენს და ამგვარათ ჩვენი ერის შინაგანი ცხოვრება როგორც მატერიალურათ, ისე სულიერათ ევროპის ცხოვრებას ემზავსება. ცხოვრების ახალმა პირობებმა გართულეს საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი და ურთიერთობა და ამას თან მოჰყვა აუცილებლათ სულიერი წარმატებაც. ამგვარია ჩვენი ცხოვრება დღევანდელ დღეს. თუ ცხოვრება შეიცვალა, მას შესაფერი ცვლილება უნდა გამოეწვივა ქართველი ერის აზროვნებაში და ეს ასეც მოხდა. ჩვენი ერის ყოველი წოდების რწმენა და შეხედულებანი ბატონყმურ წყობილებაზე ზედ გამოჭრილი იყო; როგორც თვით ცხოვრება იყო გარკვეული სახის, ისე ერის აზრიც გამორკვეული და დამკვიდრებული იყო; მაგრამ ატოკდა თუ არა ცხოვრება, შეირყა თვით აზროვნებაც და დამკვიდრებულ რწმენა-შეხედულებათა ალაგას ყოყმანმა, სათულობამ და იქმა იჩინა თავი; ასეთი ხაოსიდან დღეს თანდათან ირკვევა ხალხის გონებაში დროის შესაფერი ახალი შეხედულებანი, რომელნიც ცხადათ იჭერენ ძველის ალაგს როგორც ოჯახში, ისე გარეთ, როგორც მამაშვილურ დამოკიდებულებაში, ისე ცოლქმრულ ურთიერთობაში და სხვ. ყოველივე ეს საუცხოვრათ არის აღბეჭდილი ჩვენ თანამედროვე ბელეტრისტიკაში და ამიტომ მეც აღარ გამოვუდგები ამ მოვლენის უფრო ვრცლათ განხილვას. ამ ქამათ უფრო საყურადღებოა იმ ცვლილების განხილვა, რომელიც მოხდა და დღესაც ხდება ჩვენი მოწინავე თაობის აზროვნებაში. როგორც ზემოთ დავინახეთ, მესამოცე წლებამდე ჩვენი მოწინავე თაობა ერთფეროვანი იყო; მასში ყველა ერთი მიზნით იყო გატაცებული, ყველას ერთგვარი აზრი და შეხედულებანი ჰქონდა, აქ აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობდა. მესამოცე წლებში გლეხობის განთავისუფლებამ გაჰყო მოწინავე თაობა და დაბადა მასში აზრთა სხვადასხვაობა: ერთი ნაწილი დაადგა არისტოკრატულ-კონსერვატიულ გზას, მეორე დემოკრატიულ-პროგრესიულს. მეორე ცდილობდა ევროპიული ცხოვრების გადმოანერგვას სამშობლო ნიადაგზე, პირველს კი ეს აზრთაც არ მოდიოდა, არსებულით კმაყოფილი იყო და იმის შერჩენას მეცადინებდა. ჩვენ დავინახეთ, როგორ შეხედდა თვითოეულმა ამ ნაწილმა კაპიტალიზმის აღორძინებას ჩვენ ცხოვრებაში. ქეშმარიტება იმდენათ ცხადი იყო,

რომ დიდხანს მისი დაუნახაობა შეუძლებელი იყო; ჩვენი მოწინავე თაობის პირველმა ნაწილმაც დაინახა ყოველივე და სასოწარკვეთილებას მიეცა. სასოწარკვეთილების მწვავე ხანამ გაიარა. არისტოკრატის იდეოლოგები დარწმუნდნენ, რომ ჩვენი ცხოვრება შეუჩერებლათ იდებდა წყობილების ახალ ფორმას და ამიტომ ლოდინი შეუძლებელია იყო,—საჭირო გახდა ახალი დროის შესაფერი სამოქმედო პროგრამა. ამ ახალი პროგრამის ძებნაში გამოაშკარავდა ერთი მხრით მთელი მათი უნიადგობა, მეორე მხრით მათი ტრაგიკული მდგომარეობა. მათ უნდოდათ საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი ფორმა და ძველი ერთათ შეედუღებიათ, მხოლოდ ისე რომ უპირატესობა ფეოდალური არისტოკრატის ხელში ყოფილიყო. მათ დაუწყეს ქადაგება არისტოკრატის: ახალი დრო დადგა, ფარხმალი აღარ ვარკა და სხვა იარაღია საჭიროვო, ე. ი. ურჩევდენ: ბურჟუათ გადაიქციეთო! მას სურდა, რომ ბატონყმური „ჭარმონია“ და უყუროს-უნცროსობა ჩვენი ერის სხვა-და-სხვა ნაწილს შორის არ დარღვეულიყო, და, რადგანაც ყოველივე ეს მიწათ მფლობელობაზე იყო დამყარებული ბატონყმურ წყობილებაში, ამიტომ არისტოკრატის ურჩევდენ: მამულს ხელი ჩაჭიდე, სოფლათ გამაგრდი და მეურნეობა ააყვავეო. ამგვარათ რა გამოდიოდა? არისტოკრატის იდეოლოგებს, რომლებიც არისტოკრატულ-კონსერვატიულ ნაწილს შეადგენდენ, სურდათ, რომ ჩვენი ფეოდალური არისტოკრატია ერთი ფეხით ქალაქში მდგარიყო, მეორე ფეხით სოფელში, ერთ ხელში ჭეროდა გაძლიერებული მრეწველობა, მეორეში მეურნეობა და ამგვარათ ცხოვრების სრული ბატონი ისევე ძველი არისტოკრატია ყოფილიყო. რადგანაც ყოველივე ეს ერთათ სრულებით შეუძლებელი იყო, შეუძლებელი იყო ახლთან ერთათ იმ ძველის შერჩენაც, რომელსაც ახალი სრულებით უარყოფდა, შეუძლებელი იყო ახლის გადამახინჯება ძველ გემოვნებაზე ფეოდალური არისტოკრატის საამოთ და სასარგებლოთ, ამიტომ პრაქტიკული პროგრამის შემუშავების მაგიერ არისტოკრატის იდეოლოგებს ნიადაგი გამოეცალათ და ჰაერში დაკიდებული დარჩნენ. მათ ბელადს—ილ. ჰაეკვაძეს—უკვე ეტყობა ყოყმანი და ბურჟუაზული ტენდენცია, მაგრამ ის ახალს ველარას მიცემს თავის თანამოაზრეთ: ამისათვის ნიქს გარდა საჭიროა მეტი სიახლე, როგორც სულიერი, ისე ხორციელი. რაც უნდა იყოს, ყოველივეს ახლო მომავალი დაგვანახებს, ხოლო ჩვენი საზოგადოების ამ ნაწილისათვის ერთი პირობაა აუცილებლათ საჭირო: მან უნდა აღიაროს ის ქეშმარიტება, რომ ფეოდალურმა არისტოკრატამ დღევანდელ წყობილებაში უპირატესობა სამუდამოთ დაკარგა.

მეოთხმოცე წლებში ჩვენმა მოწინავე თაობამ გამოიღო პატარა შტო; ამ შტომ დაიჭირა საშუალო ალაგი არისტოკრატულ-კონსერვატიულ ნაწილსა და დემოკრატიულ პროგრესიულ ნაწილს შორის. ამ შტოს სრული დახასიათება ყოველად შეუძლებელია, რადგანაც მას გარკვეული ფიზიონომია არა ჰქონია, მაგრამ რადგანაც მას დიდი მზგავსება ჰქონდა პირველ ნაწილთან, მეორესთან კი არაფითარი და რადგანაც მისი სიმპატია გლეხისაკენ იყო, ამიტომ შეგვიძლია, ამ შტოს ვუწოდოთ კონსერვატიულ-დემოკრატიული ნაწილი. ჩვენ ლიტერატურაში ეს ნაწილი ცნობილია „ტეტიათა მოტრფიალეთა“ სახელით.



როგორც პირველი ნაწილი ჩვენი მოწინავე თაობისა, ისე ეს საშუალო ნაწილი წინააღმდეგი იყო კაპიტალისტური წყობილების, მისი სული და გული ჩვენებურს, ქართულს ეკუთვნოდა. ხოლო თუ პირველ ნაწილს ცხოვრების მეთაურათ მხოლოდ არისტოკრატია უნდოდა, საშუალო ნაწილს სურდა, რომ ჩვენი ცხოვრება ყოფილიყო იდილიური, თავადი თავადათ დარჩენილიყო, გლეხი გლეხათ, ხოლო ცხოვრების მართვა ისე უნდა ყოფილიყო განაწილებული თავადსა და გლეხს შორის, როგორც მამასა და შვილს შუა. ტექნათა მოტრფიალენი ეტრფოდენ გლეხს, მაგრამ მხოლოდ იმ გლეხს, რომელიც წარმოშობა ბატონყმობამ: მორჩილს, მშვიდს და წყნარს. მათი აზრით ეს გლეხი შეადგენდა ჩვენი ცხოვრების გვირგვინს და სრულ უნაკლულობას, მხოლოდ ასეთ გლეხსა და თავადს შორის არსებული მამაშვილური კავშირი უქაღდა ჩვენ ერს ბედნიერ და კულტურულ ცხოვრებას და ამიტომ დემოკრატიულ-კონსერვატიული დასი ყოველგვარი ახალი წყობილების წინააღმდეგი იყო. მაგრამ ახალი წყობილება ამ დასის გემოვნების დაუკითხავათ იკიდებდა ჩვენ ცხოვრებაში ფეხს, მისი ზეგავლენით გლეხიც იცვლებოდა ნელ-ნელა მთელი თავისი ბუნებით, მამაშვილური კავშირი გლეხსა და თავადს შორის კი არსად არა ჩანდა და ამიტომ ეს დასიც სასოწარკვეთილებას მიეცა ნელ-ნელა. ამ დღიდან ეს დასი მიეკედლა ჩვენი თაობის პირველ ნაწილს, რომ მასთან ერთათ ელონა რამე ძველი წყობილების დარღვევის წინააღმდეგ და თავისი დამოუკიდებელი ფიზიონომია სრულებით დაკარგა. დღეს აქა-იქ ჩვენ საზოგადოებაში ობლათ დარჩენილან თითო ოროლა ტექნათა მოტრფიალენი, რომელთა არსებობასაც გვაგონებს მხოლოდ მათი დროგამოშვებითი გლოვა ლიტერატურაში—წარსული ბატონყმური წყობილების დაკარგვის გამო და აწმყოს კრულვა. ტექნათა მოტრფიალეობა ჩვენ ცხოვრებაში წარმოშობა ერთი მხრით რუსეთის „ნაროდნიკთა“ იდეების გავლენამ, მეორე მხრით კაპიტალისტური წყობილების აღორძინებამ ჩვენი მოწინავე თაობის პირველმა ნაწილმა ეს ცვლილება ვერ შეამჩნია, რადგანაც მას სრულებით არ მოელოდა, მეორემ კიდევ შეამჩნია და კიდევ გამოიცნო ის; საშუალო ნაწილმა კი თუმცა შეამჩნია ის, მაგრამ მისი გამოცნობა ვერ შეძლო, ამავე დროს მას ჩაეწვეთა ყურში „ნაროდნიკების“ იდეები, მათი ზეგავლენით ხელი ჩაკიდა ჩვენ ცხოვრებას და ყოველგვარი ცვლილება მავნებლათ აღიარა.

ი. გომარათელი.

(შემდეგი იქნება).

კავკასიის გამოფენა.

ჩვენ განვიზრახეთ ავწეროთ «კვალში» კავკასიის გამოფენის თითოეული განყოფილება კალ-კალკე, რათა ჩვენ მკითხველებს გავუადვილოთ მისი გაცნობა. ვიწყებთ მიწათმოქმედების განყოფილებიდან.

I. მიწათმოქმედება.

განჯის გუბერნია:

აქ აწყვია: სხვა-და-სხვა პურეულ მცენარეების თესლეულობა პატარ-პატარა პარკებში, პატარა ძნები ქე-

რისა, პურისა, სელისა, ზრინჯისა და სხვ., ერთი კონა მახორკა, ორი-სამი ძირი ბამბა და სხვა წვრილმანები. კერძო პირთაგან ხსენებული გუბერნიიდან ყურადღების ღირსი შელკოენიკოვია. მართალია, აქაც იგივე თესლეულობაა გამოფენილი, მაგრამ უფრო ლამაზათ და ყურადღებით არის მოწყობილი.

ქუქის გუბერნია:

აქაც გამოფენილია სხვა-და-სხვა თესლეულობა, პატარა ძნები, გარჩეული ბამბა, გაუცხველი და გაცხევილი ბრინჯი და, წარმოიდგინეთ, ქატოც ბრინჯისა.

თფილისის გუბერნია:

თფილისის გუბერნიის ნაწარმოებთა შორის უფრო ყურადღებას იპყრობს ეკატერინოფილდის კოლონიისაგან გამოფენილი სიმინდი, კარტოფილი და სხვ. საზოგადოთ გუბერნიიდან არის იგივე ძნები და თესლები და კარტოფილები, როგორც სხვებიდან.

ქუთაისის გუბერნია:

ქუთაისის გუბერნიაში ეტყობა თავი არავის შეუწყუბნია; თითქმის ნახევარი ექსპონატებისა ბ. ერ. ნაკაშიძისაგან არის წარმოდგენილი. რამდენიმე ლომის თავთავი, ორი კონა ჩალა, ლობიოს კოლლექცია, სხვა-და-სხვა თესლეულობა პატარა ბანკებში, ორი კონა ხაზარულა, თამბაქო აბესაძისა, ბამბა, ისლი, ერთი დიდი გოგრა, ტყლაპი და სხვა. აქვე დგას ვიღაც ფერაძისაგან შექმნილი „იმერული ცხოვრება“*). ყურადღების ღირსია ბნტიმოფევისაგან წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობები. როგორც აქედან ვტყობილობთ, სიმინდი შეადგენს 88 პროც. მთელი პურეულ მცენარეებისას ქუთაისის გუბერნიაში, პური 6, ქერი 2, ლომი 1,8. სიმინდს უჭირავს 240 ათასი დესეტინა, ე. ი. 70 პროც. მთელი სახნავ-სათესი ადგილებისა. საშუალო მოსავალი ყოფილა ერთ დესიატინაზე.

მაზრეპი	1 დეს. ფუთ.	ათას ფუთ.
ქუთაისის	80	3900
ოზურგეთის	120	3370
ზუგდიდის	100	3200
შორაპნის	70	3150
რაჭის	80	470
სენაკის	100	300
ლეჩხუმის	70	430
სოხუმის ოლქის	100	3160
ბათუმის —	80	1070
ართვინის —	70	120
სულ		20—25 მილ.

როგორც ვიცი, რამოდენიმე ნაწილი ამ სიმინდისა ვააქვთ საზღვარგარეთ. ამის შესახებ ბ-ნი ტიმოფევი შემდეგ ცნობებს იძლევა: ქუთაისის გუბერნიიდან გაუტანიათ:

წლები	მილ. ფუთ.	წლები	მილ. ფუთ.
1883	1,8	1895	5,4
1886	5,7	1896	1,7
1889	6,2	1897	3,1
1892	6,5	1898	4,2

*) ეს ფერაძე სწორეთ აზრებული კაცი ყოფილა, როგორც ჩანს მისი ნაწარმოებიდან. დალოცვილს უნა არა ჰქონდა მანც რომ ეთონხა, რომ მოჰყოლია და ეს ხონოლა აუშენებია?! მიუხედავთ იმისა, რომ ფერაძეს უთუთ არა ერთი დღე დაუღამებია ამ ვარიეტურის აშენების დროს, ჩვენ არ გვცალია იმაზე სალაპარაკოთ, თორემ იცოცხლეთ სასაცილო ბეერი იქნებოდა.

დაღესტანი.

დაღესტანის ექსპონატებს შეადგენს სხვა-და-სხვა თესლეულობა: პურისა, ქერისა, ლობიოსი, სიმინდისა, ფეტვისა, კანაფის კონა, ორი პარკი თივა და სხ. არაფრით არ განირჩევა ამათგან თერგის და ყუბანის მხრებიდან წარმოდგენილი ექსპონატები.

ბაქოს გუბერნიის ნაწარმოებთა შორის არაფერი განსხვავება არ არის: იგივე ძნები, თესლები, ბამბა და სხვ.

მიწათმოქმედების განყოფილებაში კერძო პირთა ექსპონატებში ყურადღების ღირსია ვნფიანჯიანცის თამბაქოს კოლექცია. აქვე არის ცნობები ამ მცენარის გავრცელების შესახებ.

წლები	სივრცე თამბაქოს პლანტაციების დას. მოთხოვნი კავკასია		
	ქუთ. გუბ.	თფილ. გ.	თფილ. გ.
1895	2400	1600	250
1898	3300	2700	400
1899	3200	2900	450

ასე რომ უმთავრესათ ნახევარზე მეტი მოსავლისა ქუთაისის გუბერნიაზე მოდის.

მოსავალი თამბაქოსი ათას ფუტებთა:

	1890 წ.	1893 წ.	1896 წ.	1899 წ.
ქუთ. გუბ.	55	98	126	175
თფილ. »	95	28	28	40

გვარიანია პეტროსიანცის თამბაქოს კოლექციაც. ყურადღებას იქცევს ადამოვის და ყორღანოვის მამულის ნაწარმოებნიც. აქვე სამხრეთის კედელზე გაკიდულია კოლექცია განსვენებულის ვ. ნ. გევესკისაგან შედგენილი.

საზოგადო დაწესებულებანი.

ფრიად საყურადღებო ნივთები გამოაუფენია თბილისის ბოტანიკურ ბაღს: კოლექცია სხვა-და-სხვა თესლებისა, გერბარები (ქალღმერთს გაკრული გამხმარი ტოტები ყოველივე საჭირო აღნიშვნით), ნაყოფები და ცოცხალი მცენარეები.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას გამოაუფენილი აქვს მდიდარი კოლექცია თესლეულობისა, თუმცა სახელის შესაფერი არ არის. ყურადღების ღირსია წყალწითელას და ყარაიასის საცდელი მინდვრების ნაწარმოებნიც.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელს გამოაუფენილი აქვს კოლექცია თესლეულობისა, გამხმარი ბამბის და ქვალამის (Cora) მცენარეები პატარაებიდან დაწყებული ვიდრე დიდამდე. აქვე აწყვია ბ-ნი ნ. მკურნალისაგან შედგენილი ქათმის მოსარჩენი და გასაწმენდი წამლები. როგორც წარწერები გვიჩვენებენ ზოგი უწყვეტ ინდოურს ფაღარათს, ზოგი იხმარება ფილტვების ანთების წინააღმდეგ, ზოგიც სურდოს და სხვა მრავალი. ის ღმერთმა უწყის, თუ რა გამკურნებელი თვისების არიან ხსენებული წამლები, მაგრამ მათი რიცხვი თითქმის 100 უწყევს, ასე რომ ყოველივე სწეულება ფრთოსანთა სამეფოსი გათვალისწინებულია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის ნაწარმოები. აქ სხვა-და-სხვა ხილველობათა შორის ჩადგმულია მოსწავლეთაგან გაკეთებული შვენიერი კაკლის ხის თეფშები ზედვე ამოჭრილ წარწერით, ამგვარივე პოდნოსები, საწერლები, შანდლები, სტოლები, დასაკეცი სკამები, სკა, რომელშიც შეიძლება თვალის დევნება თუ როგორ მუშაობენ

ფუტკრები, ნამყენი ხეები, აბრეშუმის პარკები, სხვადასხვა სხვა ღვინოები 1892—1899 წლამდე და სხვ.

მეცნიერება და მეცნიერები.

წერილი II.

გეგმანია. „ივერიის“ ეკონომისტი ასე მოგვითხრობს („ივერია“, № 258, 1900 წ.): „მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო მოვლენას გერმანიაში ვხედავთ, ამ დაღესტანის და ცრუ კანონების სამშაბლოში (კურსივი ჩვენია. საბრალო გერმანია, რა დიდი დანაშაული ხარ კაცობრიობის წინაშე! დ. თ.). აი ციფრები 1895 წლის აღწერით:

	1882 წელს იყო:	1895 წ. გახდა:
წვრილი მემამულე	3.061.831	3.231.69 ¹⁾
წვრ. მესაკ. გლეხი	981.407	1.016.239 ²⁾
სამ. მესაკ. გლეხი	926.605	998.701 ³⁾
მოემატა: პირველს		173.338 ⁴⁾
„ მეორეს		34.832 ⁵⁾
„ მესამეს		72.096 ⁶⁾

სულ 280.166

„სულ 13 წლის განმავლობაში მოემატა 280.166 მემამულე, წელიწადში—21.551; დიალექტიკოსნი კი ანდერძს უგებდნენ წვრილ მიწადმფლობელობას!

„მეორე მხრივ საოცარია, რა მცირედ ემატება მსხვილ მემამულე გლეხთა რიცხვს. ასეთი მემამულე

1882 წ. იყო:	1895 წ. გახდა:	მოემატა:
281.510	281.736 ⁷⁾	226 ⁸⁾

ძალიან მსხვილი მემამულე იყო:

24.991	25.057 ⁹⁾	66 ¹⁰⁾
--------	----------------------	-------------------

სულ 292

„ე. ი. 13 წლის განმავლობაში მსხვილ მემამულეთა რიცხვს მიემატა სულ 292“.

ასე ლაპარაკობს ბ. მარველი. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე იმ ფსიხოლოგიურ მოვლენასთან, რომელსაც ეწოდება პიროვნების გაორება (раздвоение личности): ბ. მარველის ერთი არსება სრულიად უარპყოფს „აშკარა ფაქტებს“ და „მშრალ ციფრებს“, სწორედ იმ „ფაქტებს“ და იმ „ციფრებს“, რომელნიც არიან მოყვანილი ბ. მარველის მეორე არსებისაგან ქება-შესხმულ აღწერილობაში!.. „აი... ბოლოს,—ბრძანებს ბ.

¹⁾ „ივერიის ეკონომისტს“ შეცდომა მოსვლია. უნდა იყოს: 3 236.367. იხ. ბ. მარველის მიერ დასახელებული აღწერილობა: Die Landwirtschaft im Deutschen Reich. Statistique des Deutschen Reichs, Neue Folge, Band 112, 1895. იხ. გვ. 11 (შესავალი) და აგრეთვე გვ. 2, 422, 425, 427 და 429.

²⁾ ბ. მარველი ცდებო. უნდა იყოს: 1.016.318. იხ. იქვე.

³⁾ „ „ „ „ 998.804. „ „

⁴⁾ „ „ „ „ 174.536. „ „

⁵⁾ „ „ „ „ 34.911 „ „

⁶⁾ „ „ „ „ 72.199 „ „

⁷⁾ „ „ „ „ 281.767 „ „

⁸⁾ „ „ „ „ 25.061 „ „

⁹⁾ „ „ „ „ 257 „ „

¹⁰⁾ „ „ „ „ 70 „ „

აი დაკვირვებული მკვლევარი ეკონომისტი, რომელიც ყურადღებით და სინიღისიერათ ეპყრობა წყაროებს, მოპირდაპირეს და მკითხველს... აი, სხვათა შორის, „ივერიის ეკონომისტის“ „მშრალი ციფრები“ და „აშკარა ფაქტები“.



მარველის მეორე არსება—გამოცხადდა გერმანიის 1895—96 წლის აღწერის შედეგად... დიახ, გამოცხადდა გერმანიის 1895—96 წლის აღწერის შედეგად და „ივერიის“ ეკონომისტმა (რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს ბ. მარველის პირველ არსებას) მოასწრო უკვე „ივერიის“ ფურცლებზე ამ აღწერაში მოთავსებულ „ფაქტების“ და „ციფრების“ დამახინჯება. ზევით დავინახეთ, რომ „ივერიის“ მეცნიერმა 15 „მშრალ ციფრიდან“ 10 „მშრალი ციფრი“ დაამახინჯა. მაგრამ „ივერიის“ სარდალი ამით როდი დაკმაყოფილდა: დაამახინჯა რა ამ „აღწერის“ შესავლის მეთერთმეტე გვერდზე მოთავსებული ციფრები, მან განაგრძო თავისი საგმირო საქმე: მან შეთხზა ასევე ლექსიკონი და სიტყვებს მისცა ის მნიშვნელობა, რომლის წინააღმდეგ ისინი გამოხატავენ, ე. ი. სიტყვის მნიშვნელობა გადააბრუნა. აი დასამტკიცებლათ „აშკარა ფაქტი“: „Parzellenbetriebe“ ბ-ნმა მარველმა გადათარგმნა ასე: «წვრილი მემამულე». «Parzellenbetriebe» ნიშნავს მხოლოდ «წვრილ წარმოებას», ე. ი. ისეთ წარმოებას, რომელიც იჭერს ორ ჰექტარზე ნაკლებ მიწას. „Parzellenbetriebe“ შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც მესაკუთრეს, ისე მეიჯარეს, მაშასადამე, არა-მესაკუთრეს. ქართულათ წვრილი მემამულე ჰქვია წვრილ მესაკუთრეს და არა მეიჯარეს, რომელსაც აქვს დაქირავებული ორ ჰექტარზე ნაკლები, უფრო ხშირათ კი ერთ ჰექტავ მიწის მეოთხედი და უმცირესი ნაჭერიც ქონის დასადგამათ. ამათ მხოლოდ «ივერიის» ეკონომისტი უწოდებს „მემამულეს“, დანახენი ეკონომისტები ამგვარ „მამულს“ არ უძახიან „წვრილს“, რადგან «წვრილ მამულს» შეუძლია დააკმაყოფილოს მემამულის უმთავრესი საჭიროება, ხოლო ორ ჰექტარზე ნაკლებ მიწას ეს არ შეუძლია (რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მხედველობაში არაა მისაღები ქალაქის მიწები და ბაღები). ამგვარ მამულს «დანარჩენი ეკონომისტები» უძახიან პარცელლას. ცხადია, პარცელლათა გამრავლება მეურნეთა გამრავლებას არ ნიშნავს და Parzellenbetriebe-თა («წვრილ წარმოებათა») გამრავლება არ ნიშნავს წვრილ მემამულეთა (მესაკუთრეთა) გამრავლებას.

კიდევ უფრო აშკარათ ჩანს სიტყვის მნიშვნელობის გადაბრუნება შემდეგი ალაგიდან: ბ. მარველი ამბობს:

1882 წ. იყო:	1895 წ. გახდა:
წვრ. მესაკ. გლ. 981.407	1.016.318 (მოგვყავს ისე, რო
საშ. მესაკ. გლ. 926.605	998.804 (გორც აღწ. ნაჩვენ.
აღწერაში, საიდანაც ბ. მარველს მოყავს ეს ციფრები, ასეა ნათქვამი (იხ. შესავალი, გვ. 10 და 12):	
Unter 2 ha . . .	Parzellenbetriebe
2 bis 5 ha . . .	Kleine
5 „ 20 „ . . .	mittlere
20 „ 100 „ . . .	grössere
100 und darüber	Grossbetriebe.

როგორც ხედავ, მკითხველო, გლეხის მეურნეობა სამკატეგორიათ იყოფა:

2-დან 5 ჰექტ-დე . . .	წვრილი	} გლეხის მეურ-ბა.
5 „ 20 „ . . .	საშუალო	
20 „ 100 „ . . .	მოზრდილი	

რაც შეეხება Parzellenbetriebe ჩათვლილი არაა გლეხის მეურნეობათა რიცხვში. გარდა ამისა, აქ საკუთ-

რებაზე არაა ლაპარაკი. ბ. მარველს სრულიად უსაფუძვლოდ წყნად მეურნეობათა (გლეხების) მაგივრათ უხმარია «წვრილ მესაკუთრე გლეხი», რასაც გერმანულათ მოყვანილი ტექსტი სრულიად არ ნიშნავს; აგრეთვე გერმანულათ ნათქვამია გლეხის საშუალო მეურნეობა და არა «საშუალო მესაკუთრე გლეხი». გერმანიაში იყო 1882 წელს წვრილ მეურნეობათა (გლეხის) რიცხვი 981.407, წვრილ მესაკუთრე-მეურნე გლეხთა რიცხვი კი 541.800. 1895 წ. წვრილ მეურნეობათა (გლეხის) რიცხვი გაიზარდა და ავიდა: 1.016,318, წვრილ მესაკუთრე მეურნე-გლეხთა რიცხვმა კი დაიკლო და ჩამოვიდა: 512.725.

ასე წვრილ მეურნეობათა რიცხვი გამრავლებულა; წვრილ მესაკუთრე მეურნე-გლეხთა რიცხვი კი შემცირებულია: პირველს მომატებია 34.911; ხოლო მეორეს (ე. ი. წვრილ მეურნე-მესაკუთრე გლეხთა რიცხვს, ბ. «ივერიის» ეკონომისტი!) დაკლებია: 29.075. რას ბრძანებთ, ბ. მარველო?!

მთელ გერმანიაში 1882 წ. იყო მესაკუთრე-მეურნე-გლეხთა რიცხვი—	1.404.914
1895 წ.—მესაკუთრე-მეურნე-გლეხთა—	1.370.899
	—34.015

13 წლის განმავლობაში მესაკუთრე მეურნე გლეხთა რიცხვს კი არ მომატებია, არამედ დაკლებია 34.015 ანუ 2,42%.

აგრეთვე 13 წლის განმავლობაში დაუკლია მსხვილ მეურნეობათა რიცხვს საკუთარ მიწაზე.

1882 წ. იყო	15.815
1895 წ. იყო	15.636
	—179 ანუ 1.13%.

დარჩა ბ. მარველის სანუგეშოთ ერთი «აშკარა ფაქტი»: ჰარცელიარულ წარმოებათა გამრავლება საკუთარ მიწაზე, მაგრამ... მაგრამ ერთი პატარა შენიშვნაა აქ საჭირო: პარცელიარულ წარმოებათა რიცხვმა იმატა, ხოლო მიწის სივრცე, რომელიც მათ ეჭირათ, შექცირდა.

პარცელიარულ წარმოებათა რიცხვი	რამდენი მიწა ეჭირა ყველა წარმ. ერთათ	ორთაშუა თითოეულ წარ.რამ.მიწა ეჭირა
1882 წ. 3.061.831	1.825.938	0,59
1895 წ. 3.236.367	1.808.444	0,55
	+174.536	—17.494
		0.04

პარცელიარული და სხვა მეურნობა ერთათ რომ ავიღოთ, მაშინ დავინახავთ შემდეგს:

საერთო რიცხვი მეურნეობათა და პარცელიარული წარმ.	მხოლოდ საკ. მიწაზე წარმ. (პარც. შედის)	მხოლოდ ანუ უმეტესწილად მიწაზე წარმ.
1882 წ. ¹¹⁾ 5.276.344	2.953.445	2.322.899
1895 წ. ¹²⁾ 5.558.317 ¹³⁾	2.951.107	2.607.210
	+281.973	—2.338
		+285.311

მესაკუთრე მეურნეთა რიცხვი ამნაირ ანგარიშშიაც შემცირებულია (—2.338), მეიჯარეთა კი გამრავლებულია (+285.311).

¹¹⁾ Ibid. გვ. 425 და შესავალი—გვ. 18.
¹²⁾ Ibid. გვ. 2—3, 422—423.
¹³⁾ Ibid. გვ. 2, პირველი შენიშვნა. „Молочные хозяйства“, რომელსაც არა აქვს მიწა, ანგარიშში არ შედის, ერთიანათ კი შეადგენს 5.558.980.

ჩვენ შევადგინეთ შემდეგი ცხრილი, რომელიც უფრო ნათლად დაახვედრებს მკითხველს ამ რთული კითხვის სხვა-და-სხვა მხარეს და მათ შორის დამოკიდებულებას. საკუთარ მიწაზე მფლობელობათა რიცხვი. რამდენ პროცენტზე შემცირდა რამდენი პროცენტი მიწის საშუალო რიცხვით რამდენ პროცენტზე დაიწყო დაიწყო ბულა მფლობელობათა რიცხვი. ყველა მესაკუთრე-მფლობელი. მესაკუთრე-მფლობელი. გლეხების კაპიტალის ტენდენციის კაპიტალის ტენდენცია.

გლეხების კაპიტალის ტენდენციის (2-დან 100 ჰექტ.) (100 ჰექტ. ზევით)	გლეხების კაპიტალის ტენდენციის	გლეხების კაპიტალის ტენდენციის	გლეხების კაპიტალის ტენდენციის	გლეხების კაპიტალის ტენდენციის
1882 წ. 1.404.914	25.466.684	7.977.814	18,13	504,45
1895 წ. 1.370.899	27.191.957	8.915.681	+6,77% +11,75%	570,20
—34.015	+1.725.273	+937.867		+1,71 +65,75

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ მესაკუთრე მფლობელები გლეხთა რიცხვი შემცირებულა ახლომდებარე 34.015, ანუ 2,42%, ხოლო მსხვილ მესაკუთრე მფლობელებს დავკლებთ 1,13%; ეს ციფრები გვიჩვენებს იმას, რომ მესაკუთრე მფლობელები გლეხთა რიცხვს დაკლებს 1,29%-ით მეტი (2,42—1,13=1,29). მესაკუთრე მფლობელები გლეხთა მიერ დამუშავებული მიწის უფრო კარგად გამოიყენებულა, ვინც მსხვილ მესაკუთრე მფლობელია. პირველი მომატებია მხოლოდ 6,77%; მეორეს კი 11,75%; გლეხობა ჩამორჩენილი უკან 5%. მესამე: ორთაშუა თითოეულ მესაკუთრე-მფლობელს გლეხს 1895 წელში უფრო მეტი უფლებები 1882 წ-თან დაუმეზღვებია 1,71 ჰექტარით მეტი ანუ, 9,43% მეტი, ხოლო მსხვილ მესაკუთრე-მფლობელს 65,75 ჰექტარით მეტი ანუ 13,03%-ით მეტი, ე. ი. გლეხი ჩამორჩენილი უკან 3,61%.

დ. თოფურიაძე

წერილები რედაქციის მიხედვით.

I.

ქნო რედაქტორო! გახ. „კვალი“-ს 34 ნომერში დასტამბულია კორესპონდენტის ვიდეო სამკითხველს წვერისაგან. ეს წერილი ცილის წამებით არის სავსე, მაგრამ რას იზამთ... ამ კორესპონდენტის საზასუსო წერილს დაწვრილებით ადრე გასაღებთ და იმედი მაქვს დამიბუჭდეთ. ასლა კი, თუ შეიძლება მომავალ ნომერში გთხოვთ დამიბუჭდეთ შემდეგი:

„ცნობის ფურცლი“-ს 1561 ნომერში მქონდა გამომცემი სხვათა შორის, რომ მედიტან ურუშაძემ გადმოცა 12 მანათი ფულათ და ორი ქართული წიგნი ქუთაისის ნაქრები შერეული და სხვა. კორესპონდენტი კი წერს: „მე მითხრა ერთმა კაცმა, ამას წინეთ მე შვიდეუ ფულები ბიბლიოტეკის სასარგებლოთ ქუთაისში შეკრებილი ჩემი ნაცნობისაგან და გადავეცი ბ-ნ გამგეს, მაგრამ ერთი წელიწადი გადის და გასეთში არ აცხადებს!.. დაუგვირდით ამ სიტყვებს «ამას წინეთ და ერთი წელიწადი გადის»! ვინ ტყუვის ნეტავი, კორესპონდენტი თუ ის «ერთი კაცი»? მაგრამ ვინ იცის, შეიძლება ბ. ურუშაძეს ძაღვად ერთი წელიწადია აქვს ფული მიღებული და აქნამდის ჯობით ატარა?

როგორც კორესპონდენტი ამბობს, ასლაც მიუღია ქუთაისიდან ფულები ურუშაძეს და ასლაც სომ არ სურს მთელი წლებით ჯობით ატაროს? ან შეიძლება ეს ურუშაძე არ არის, კორესპონდენტი არ ასახელებს, მაგრამ მე სხვისგან არაფერი არ მიმიღია და თუ ვინმე სხვა ვიცი, დასასწავლად კორესპონდენტს ასლა, რა არის აქ დასამადავი?

ამასთანავე უმოწინავეთ გთხოვთ იმ პერიოდულ პირთ, რომლებიც კეთილ ინტენციებს და სამკითხველს რამდენ შემოსწავს, პირდაპირ სამკითხველს სახელზე გამოგზავნონ ან წერილებით გაცნობონ ვის და რა გამოატანეს გადმოცემისათ.

გამგე სამკითხველსი სამსონ ვაშაყაძე.

II.

(ჭიათურის გულ შემატვიკარს პ. კ. მოღვაძეს პასუხათ).

„კვალი“-ს 35 №-ში დაბეჭდილია ჭიათურის კორესპონდენტის ბ-ნ კ. მოღვაძისა შესახებ აქაური სტენისა და წარმოდგენებისა. მე წარმოდგენების შესახებ არას ვიტყვი და რაც შეეხება დეკორაციებს, რაც მე პირადათ შეეხება, იმაზე კი ორიოდე სიტყვას ვიტყვი. ბ-ნ მოღვაძე, ერთი მიზნისათ რამეღი ორი ბუნჯი ხანეთ იქ თქვენ?! ხე თუ სიგანით 10 არშინი და სიმაღლით 5 არშინი დეკორაცია თქვენ ბუნჯათ მოკვებენათ? ორი ბუნჯი კი არა, იქ გასლავთ ექვსი ტვის გულისი სიმაღლით 4 1/2 არშ. და განით 2 არშ. და გასლავთ ტუე დასატული და არა ბუნჯი, ტუე ისეთი როგორც საუკეთესოთ კეთდება თეატრებში. მერე გასლავთ დარბი ოთახი თავის კარებითა და ფანჯრებით შეკეთილი მქონდა სრულიად უბრალო ოთახი, და თუ ძლიერი ოთახი გნებავდათ, მაშინ შეიძლება სულ შენიღ-პაპილებით გაკეთებულიყო. რაც შეეხება დანარჩენ დეკორაციებს, მაგალითათ: წიხა ფანჯრები და სხვა, მე მტონია ისეთი არის, რომ სოციალურ ქალაქის თეატრებშიც არ არის ისეთი ღამაში, როგორც ჭიათურაში.

არ გვჭირა ამბობს ბ-ნი მოღვაძე, რომ ბალანსივამეს დაესატონო. არა, ბატონო მოღვაძე, გჭირადეთ! დიან მე დაუსატე და უარს არ ვიტყვი იმაზე, რომელიც მე არ შეძარ.



ცხვენს. თქვე დადგინდეთ, იქნება თქვენ დიდ თვარებში რომ სულად დაეკარგებინათ, დიდ სტენებზე, კარგ განათებაზე, და შორიდან ისე გგონიათ თქვენ ჭიათურის სტენაზე გამოხედვს, რომელიც იქვე ცხვირთან არის სტენაც და დეკორაციებიც. სანამ მე ჩავიდადი, რანაირათ იყო დადგმული დეკორაციები, კულისები თავ დაღმა იკიდა, ფანჯრები და კარები უკუღმა იყო აკიდებული, წინა ფარდის უკანა ფარდულები ოთახში დატყუნილი იყვნენ ნაკაპში, ასევე უკუღმა იყვნენ გავასწორე, ყველას თავთავისი ადგილი მივიყვანი; ჩემ სანამ თავი დავანებე, თქვენი დეკორაციები ვსატე და თავის დროზე მოვიასწორეთ. ბ-ნო მოდებამე, ქუთაისის სტენაზე თუ ვი მოგწონთ ჩემი დეკორაციები და მის განხილვას არ შეუდექით, ჭიათურაში არ მოგწონთ? თუ არ იცით რა მნიშვნელობა აქვს დეკორაციებისათვის კარგ განათებას და თვალდასწორად დადგმას, თქვენ რომ კოლოფივით სტენა გქონდეთ, დეკორაციები ცხვირის წინ და სტენა ისეთი, რომ სული გაიქნია, ჭერს მოხვდება, არტისტები დეკორაციებზე უფრო ძალეები ჩანან. ეს ჩემი ბრალი არ განსაზღვრავს. ასე, ჩემო ბატონო, მეორე ვიდე, ბ-ნო მოდებამე, იმ დეკორაციებში 400 მან. ვა არ განსაზღვრავს დასაწყისი არამედ 280 მან. ესეა ვი ვინაობ რომ დავსატე ის დეკორაციები, მაგრამ რა შეგონა თუ თქვენისთანა «კონტინენტი» გააჩნევა.

ვასო ბაღანჩივაძე.

III.

ქ. რედაქტორა! უძიარნილესათ ვთხოვთ ადგილი დაუთმონთ თქვენ ზატეგეტივულ გაზეთ «კვალში» შემდგომ შინაშენს.

«კვალის» მე 35 ნომერში იყო მოთავსებული ბ. კ. მოდებამის კორესპონდენცია სოფ. ჭიათურის სსსლსა თვარტისა. ბ. კორესპონდენტი უხეუდუბებს სტენის მოყვარებს ვარგათ ვერ ითამაშესო. მე, როგორც ერთი სტენის-მოყვარეა, არ შეუხები მის აზრს შესახებ იმისა თუ ვინ როგორ ითამაშა, მსალთ არ შეიძლება უმასუხოთ დაკტოვო მისი ზოგიერთი მოსაზრებანი შესახებ ჭიათურაში სსსლსა თვარტის მოწყობისა. ბ. მოდებამე ვატყურობდათ აცხადებს თავის წერილში, რომ «ზრთვინციაში წარმოდგენები საუკეთესოთ და უძიარბესათაც ვი უნდა ვამართოს, ვიდრე ქალაქშიო!» ნეტა ვიდრე რას იფიქრობდა კორესპონდენტი, როცა ამ ფრასას წერდა? ნუთუ ზრთვინციაში წარმოდგენების მართვა უფრო სსსლსა მთაწინა მოდებამეს, ვიდრე ქალაქში? შეიძლება ბ. მოდებამეს სურს, რომ ზრთვინციაში უკეთ იმართებოდეს წარმოდგენები, ვიდრე ქალაქში? ეს სურვილი ძალიან ვარგია, მაგრამ ერთი ვითარათ: შესაძლოა თუ არა ამ სურვილის განხორციელება ვერ-ვერით? თუ, სანამ ქალაქზე უკეთ არ ვამართებ ზრთვინციაში წარმოდგენები, მანამდე უნდა ველოდეთ და აღარ ვამართოთ ეს წარმოდგენები ზრთვინციაში? დალოცა ღმერთმა, რომ ყველა ისე არ იფიქრობს, როგორც ბ. მოდებამე, თორემ სწორეთ არასსურველ მდგომარეობაში ჩავარდებოდა ჩვენი ხალხის განვითარების საქმე. შემდგომ ამ მოსაზრებისა ბ. მოდებამე იწუებს სტენის მოყვარეების ძაგებს და ბოლოს შინაშენს წარმოდგენების მმართველებს, რომ „გონიერება მოითხოვს სტენის მოყვარეთ (ნამეტურ რაცა ფულს იღებენ) ან არ უნდა იკისრონ ძნელი ზიესების დადგმა, სადაც განსაკუთრებით არტისტიული ნიჭია სსსლსა, ან და ამისთანა შემთხვევისთვის უნდა მოიწიონ უსათუოთ ერთი უმთავრესი

როლის აღმასრულებელი არტისტი მანც, რომ წარმოდგენამ რეგანათ ჩაიჭრასო“.

ვერ ის უნდა მოვასწონოთ ბ. მოდებამეს, რომ ჩვენ, სტენის მოყვარები, ერთ გრამსაც არ ვიღებთ ამ წარმოდგენებში და ეს თვით ბ. მოდებამემაც ძალიან ვარგათ იცის.

სსსლსა აქვს ქუთაისში სსსლსა წარმოდგენების მმართველ წესს 150 მან. თითო ჭიათურაში გამართულ წარმოდგენაში. ამ ფულს სსსლსა იმიტომ აქვს, რომ ჭიათურაში გამართული წარმოდგენა თავის ფასებით მეშებისათვის ხელმისაწვდენი იყოს. სსსლსა დაფარვის შემდეგ რაც ფული რჩება ეს წრე ინახავს მომავალი თვარტის შენობისათვის ქუთაისში. მაშასადამე «სტენის მოყვარეთაც ფულების აღება» ამ შემთხვევაში სრულიად უადგილოა. უსახუოთ მიმხნია აგურთუკე ისიც, რომ ვითომ ჩვენ წარმოდგენებისათვის სსსლსა ვერადებთ და არ ვგდილობთ რაც შეიძლება უკეთ მოვაწყოთ ეს საქმე. ამის უარის მეოფელი ის ფაქტია, რომ ზირველათ გამართული წარმოდგენისათვის მოწვეული ვკვავდა არტისტი ქალი ქ. ვაზუნი-ცაგარლისა თბილისიდან და ქ. ივანიძე ქუთაისიდან. მამ რათ ბრძანებს ბ. მოდებამე რომ «ერთი არტისტი მანც უნდა მოიწიონო»? ვერ ჭიათურაში ორი იათე-ფასიანი წარმოდგენის მეტი არ ვაკვირთავს და სიდან იცის ბ. მოდებამე, რომ ჩვენ აღარ მოვიწვევდით დასელოვნებულ არტისტს? ძალა-უნებურათ უნდა ვიფიქრო, რომ ბ. მოდებამეს რაღაც სსსლსა მოსაზრება აღაზარებს, თორემ ვერ ვამიგია, რამ აამიელა ასეთი შესედელება იქნისო იმ სსსლსა, რომელსაც არავითარ მატერიალურ ინტერესი არა აქვს ჭიათურაში გამართული წარმოდგენებთან. მის კორესპონდენციაში აღნიშნულ წარმოდგენისათვის, მართალია, არ მოგვიწვევია არტისტები, მაგრამ ეს იმიტომ ვი არა, რომ სსსლსა ვერადებოდათ. არა, ასე იმიტომ მოვიქცეთ, რომ სსსლსა არ იყო ამ ზიესებისათვის «განსაკუთრებული ნიჭის მქონე არტისტის მოწვევა, რადგანაც ეს ზიესები ჩვენმა სტენის მოყვარებმა წამოდენჯერ ითამაშეს ქუთაისის სტენაზე და სსსლსა ვადგობა უოველთვის ხასიათობება დაწა. ბ. მოდებამის აზრით ეს ზიესები ძნელი დასადგმელი ზიესები უოფილა და აღარ ვიცით, რომელი ზიესის დადგმა უნდა ვაბედონ სტენის მოყვარებმა? დავაკუროთ «ზატარა ვასის» დადგმა უფრო ადვილია „ცემბირელზე“ და «ბიძასთან გამონუმრებაზე»? სწორეთ ორი კვირის შემდეგ ჩვენს მეტე ჭიათურაში „ზატარა ვასი“ დადგეს და ლეან ქაბუღიძის როლის თვით ბ. მოდებამე თამაშობდა. მეონი ბ. მოდებამეს სტენის მოყვარეა და არა «განსაკუთრებული ნიჭის მქონე არტისტი?» ამას იმისთვის ვი არ ვამბობთ, რომ ვითომ ბ. მოდებამე ვერ შეიძლება ქაბუღიძის როლის თამაშს, არა, ზირაქით, ჩვენ შესაძლოთ მიგვანხია, რომ სტენის მოყვარემ არა ნაკლებ ზოგიერთი ჩვენი ზრთვინციალურა არტისტისა შესარუდოს ეს თუ ის როლი. ბ. მოდებამეს წამს, რომ ჭიათურაში წარმოდგენების მოწყობა უკეთ შეიძლება და უსაყადურებს სსსლსა, რატომ ივარით არ ვარდით ეს საქმე და თანაც დასქენს, რომ ვიდან „ზატეგეტივული“ დრამატიული საზოგადოების წევრმა მითხნა: «ჩვენ რომ ვაკვავო, 1,000 მან. 10 წარმოდგენას ვაკვამართავდით და სსსლსა არტისტისაც ვამოკვავანდითო». მე არა მკრძ, რომ რომელიმე «ზატეგეტივული», ვინდა არა ზატეგეტივული დრამატიული საზოგადოების წევრი ამას იტყოდა, რადგანაც ვიცი, რომ დრამატიული საზოგადოება მართლ საქველ-მოქმედო წარმოდგენებს არ მართავს და მისი არტისტები საუკეთესო ვი არა უკანასკნელიც ვი უოველთვიურ

კამაგინს იღებენ. ქველმოქმედებაც რომ გახწიას დრამატი-
ულმა საზოგადოებამ და სასუიდელო არ აიღოს არც ერთმა
არტისტმა, ასი მხნეთი თვითუღი წარმოდგენის ნასკვარ სარ-
კისაც ვერ დაჭყობავს ჭიათურაში. ეს რომ ცარიელი სიტყვები
არ არის ამას აქვე მოყვანილი ანგარიში ცხადათ დამტკიცებს.

ზირველათ ჭიათურაში ვითამაშეთ „სანუმა“ და «ონ-
ბახი». «სანუმასთვის» საჭირო იყო 10 მოქმედი პირი;
ერთი სუფელიორი წავიყვანეთ და ერთი კაციც წინდაწინ გავ-
გზავნეთ საქმის მოსაწყობათ. სულ ვიყავით 12 კაცი; ზოგი-
ერთები ორ როლსაც კი თამაშობდნენ. აი რა სარგო მოგვი-
ვიდა ამ წარმოდგენას:

- 1) თორმეტი კაცის მასკლა-მოსკლა შესამე კლასით — 19 მ.,
- 2) ფიატონები სტენის მოყვარუთათვის და მათი ბარ-
გისათვის 8 მ. 35 კ.,
- 3) გაბუნია-ც'გარლისას გზის ფუ-
ლი — 10 მან.
- 4) ქ. ივანძეს 15 მან.
- 5) ზურუნა (პიესაში
საჭირო იყო) 25 მან.,
- 6) ზარემასკუს 7 მან.,
- 7) რეკვი-
ზიტი 3 მან.,
- 8) ჭამა-სმა 12 კაცის 28—30 აგნისადე
23 მ. 97 კ.,
- 9) აფიშები და ბილეთები 4 მან.,
- 10) თერძს
და მსახურებს თეატრში 6 მან. სულ 121 მ. 32 კ.

ახა დაუგვირდით, მკითხველებო, ამ ანგარიშს და გვითხა-
რით, არის აქ გადაძებებული სარგო? მე მგონი, არა და მამ
როგორ შეიძლება დრამატიული საზოგადოება 100 მან. გა-
მართოს თათო წარმოდგენა? კვებ დრამატიული საზოგადოე-
ბის «პატივცემულ» წევრს თეატრის შემოსავლის იმედი ჰქონ-
და? ეს შეიძლება, მაგრამ ეს შემოსავალი იმდენათ მცირეა,
რომ შორს ვერ წასწევდა მათ ბიუჯეტს. სულ რომ გაიკოს
თეატრი, რაც ყოველთვის ძნელი მოსაღწეულია, ჩვენი ფა-
სების მ.სევეით თეატრი ძლიერ იძლევა 50 მანეთს. ეს 50
მანეთი მიუმატეთ 100 მ., გამოვა 150 მ. ახლა შეადრეთ
ჩვენი სარგოები იმ სარგოს, რომელიც ტრუშის თფილისიდან
ჩამოსულას დასჭირდება და დაინახეთ, რომ ბ. მოდებაძეს და
დრამატიულ საზოგადოების «პატივცემულ» წევრს არტისტე-
ბის დასაჯილდოებლათ რჩებთ 2-3 დღის შრომას და წვა-
ლება.

დასასრულად, ბ. მოდებაძე, მოგასახებოთ, რომ თქვენ,
როგორც მუდამ ჭიათურაში მცხოვრებს, შეგებდით, თუ გუ-
ლი შეტვივრათ ჭიათურის ხელსე, დასმარება აღმოგებინათ
ქუთათურებისათვის და როგორმე ამ ცოტა ხანში მანდვე მუ-
დამევი ადგილობრივი სტენის მოყვარუთა წრე შეგედინათ და
მათ გავკავდებინათ ჭიათურაში წარმოდგენების მართვა,
თორემ მოჭედიანათ და ღანძღვთ ყველა მათ, ვინც ცდი-
ლობს როგორმე სასაღისო თეატრი მოწყოს ჭიათურაში. ეს,
უნდა გითხრათ, კერაფერც საღისისადმი სიყვარულია! ჩვენი
ინტერესი ჭიათურაში, როგორც თქვენც იცით, მხოლოთ
ის არის, რომ შეძლებისა დაგვარათ გაკეთდითათ სელმისა-
წდომი წარმოდგენები ადგილობრივ მცხოვრებ მუშებს და უბ-
რალო ხელს, თორემ საბჭოსაგან მოცემული ფულებით რომ
ჩვენ ზირდათ არ ესარგებლობთ, ეს თქვენც ძალიან კარგათ
იცით. თქვენი გორკესპანდენციისთანა წერილები სამწყურათ
უნდა ჩითვალას, რადგანაც მაგნიარი წერილებით, სშირათ გულის
რუტრებენ სტენის მოყვარუებს და ზოგიერთი მათგანი სმი-
რათ თავსაც ანებებს ამ საქმეს.

ამ დღეებში «ცნობის ფურცელში» ამოვიკითხეთ, რომ
ჭიათურაში რაღაც წარმოდგენების მმართველთა დამხმარე კო-
მიტეტი აურჩევით და ამ კომიტეტს საბჭოსთვის თხოვნით
მიუძარათვს, ჩვენ გადმოგვედით ჭიათურის თეატრის საქმე და

ჩვენ მოვიწვევთ უფრო დახელოვნებულ არტისტებს. ჩვენ არ
შეგუშლით ხელს ჭიათურის კომიტეტს, პირიქით, დიდათ სა-
სიამოვნო იქნება და კიდევაც დაეხმარებით, თუ უკეთ მოა-
წყობენ ჭიათურაში თეატრის საქმეს, მაგრამ ვაი თუ უკეთ კი
არა ისეც ვერ მოახერხონ საქმის წყევანა, როგორც ესლა მი-
დის და ეს არის ჩვენი სამწყურათ და სავალდლო.

სტენის მოყვარე.

ქ. ქუთაისი.

IV.

ქ-ნო რედაქტორო!

უმოწილესათ გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენი გაზე-
თის მასლობელ №-ში ამ მცირე წერილს. ამ რამდენიმე თვის
წინათ ჩვენი სოფლის ზოგიერთ დაწინაურებულ პირთ განიხ-
რასეს შეედგინათ ამხანაგობა ოზურგეთსა და სოფ. ბასვის
შორის მიმომსვლელ ეტლებისა. როდესაც სხენებული პირე-
ბი ერთ დღეს შეიკრიბნენ ამ საქმესე მოსალაპარაკებლათ, მე
წარმოვთქვი ის აზრი, რომ ნაცვლათ ასეთ ამხანაგობისა უმ-
ჯობესი იქნებოდა დაგუკასკებისა მხმარებლათ ამხანაგობა.
მაშინ ეს პირები არ გახდნენ თანხმა ამისა და მიზეზათ წა-
მოაყენეს ისა, რომ საზოგადო დუქნის გასსნა მეტათ რთუ-
ლი და ძნელი საქმეაო. მე კი ბოლომდის ჩემ აზრს ვადეკი
და ვურჩევი გავკესსნა საზოგადო სავაჭრო სახლი. საქმე
ისე წავიდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ თითონ ისინიც
ვინც თავ-დაპირველათ მე არ დამეთანხმნენ, იმ აზრს დაადგნენ,
რომ ჩვენი სოფლისათვის დიდათ საჭიროა დამხმარებელ ამ-
ხანაგობის გასსნა, რის შემდეგაც შეუდგენ ვიდევაც ამხანაგო-
ბის დაარსებას, ამ ამბავსა ისე დააშინა აჭაური მოავტრები,
რომ იმათ გადსწევიტეს მიეგზავნათ ამხანაგობის დამოუძნე-
ბელთათვის მოცემული ასეთი წინადადებით: პირველ ხანებ-
ში თქვენ გასსენით მხოლოთ საფართლო დუქანი. ჩვენ
კი შეგვევრით პირობით, როგორც ისურვებთ, რომ ყოველივე
საჭირო სორავუელობა დაგითმით იმ ნისრით, რასაც თქვენ,
ამხანაგობის გამკეობა, დაგვიწესებთ; თუ რომ ჩვენ მოქმე-
დებაში თქვენ არა სინიდასიერ ვაჭრობას შენიშნათ, მაშინვე
თითონ გასსენით სორავთა სავაჭრო დუქანსაო. ამ წინადადე-
ბის მოცემულით მიმაგზავნეს ამხანაგობის დამაარსებლებთან
მე. რადგან ერთი უფრო მარტივი და ადვილი ტიპი მხმარე-
ბელ საზოგადოებისა სწორეთ ასეთია, რომ ამხანაგობა ასე-
თის საზოგადოებისა შეკვერის პირობით რომელსამე ვაჭარს,
რომ იმან აძლიოს ამხანაგობის წევრთ ყოველნიანი სავაჭრო
საქმეული დაკლებული ფასით, სოლო წევრნი საზოგადოები-
სა პირობას უდებენ—ყოველივე საჭირო სორავთი ივაჭრონ ამ
ვაჭრისაგან, მეც, როდესაც გადავეცი აჭაურ მოავტრეთა წინა-
დადება ამხანაგობის მოთავკეთ, დავსმინე, რომ ვაჭრების ასე-
თი წინადადების მიღებითაც ჩვენი ამხანაგობა თითქმის მი-
ზანს მიღწეული იქნება. «კვალის» 32 №-ში დაბეჭდილი წი-
რილის ავტორი, ბ. ჩიბუხი კი, მე მსასავს მხმარებელ ამხა-
ნაგობის მ.წინამდემდეკეთ და შემოეწესებულათ, მაშინ როდესაც
სოფ. ბასვში მხმარებელ ამხანაგობის ინიციატორი თითონ მე
ვიყავი, როგორც ეს სვეით მოვისსენე და როგორც ამისი
მოწამენი არიან სსავთა შორის ბბ. დ. ქიქოძე, ნ. კალან-
დაძე, გ. შარაშიძე, ი. ქელიძე, გ. მვალაბლიშვილი და
სხვანი. რაც შეეხება იმას, რომ მე თითონ დუქანი მაქვს
ოზურგეთში და მეშინიან მუშტრების დაკლებისა, ვინ არ იცის,
რომ ჩემ დუქანს არაფერი ვაკვირნი არ აქვს ბასვში სავაჭრო
სახლის გასსნასთან, რადგან თვით ბასვშიც არა ერთი და



ორი დუქანი არსებობს ჩემი დუქანისთანა. ყველა ეს ვაჭრობა უფრო კარგათ იცის ბ. ჩიბუხიძე, მაგრამ რეკლამა სხვა რამეზე უფროა იგი გულ ნატკენი იმ „ინტელიგენტისგან“, რომელსაც ასეთი ცილი დასწამა თავის წერილში

იპოვო ჭელიძე.

მცირე შენიშვნა.

ბ. ვასილ წერეთლის წერილების გამო.

კარგა ხანია, რაც ვაზეთ „კვალში“ ჭიათურის ქსენონის შესახებ ეჭიმი ვასილ წერეთლის წერილები იბეჭდება. ბ. წერეთელმა ამ ქსენონის ბეჭი რამე ნაკლი და უპარგისობა უამბო მკითხველ საზოგადოებას და უფრთხილად დანაშაული ამ საქმეში თავს მოახსია ბ. ზღანოვიძის. მაგრამ ზიზველი ჯერ არ კმაყოფილდება ამით და თუ ვაზეთმა ადგილი დაუთმო, იმედია, კიდევ უძღვინს ორიოდე წერილს ბ. ზღანოვიძის... მოუთმენლათ ველოდით უკანასკნელისგან თავის-გასამართლებელ პასუხს, მხოლოდ ლოდინი ლოდინათ რჩება და რას მივაწეროთ ეს?!.. მე არ მსურს ან ერთის ბრალდებული ვიყო, ან მეორის ვეჭილი, ვიტყვი კი, რომ ბ. ზღანოვიძი ერთ დროს ქუთაისის ინტელიგენციის ბელადი იყო და მასთან თუ ბ. ჩიკვაძეს, «თუ მართალია პასუხს რათ არ იმეკვო», უკეთებდნენ, დღეს თავის თავს რასღა ეუბნება?.. ორმა ერთია: ბ. ზღანოვიძი ან თანახმაა ბ. წერეთლის, ან მასთან პოლემიკას არ ვადრუგობს... როგორც ყველგან, ამ საქმეშიაც, უკველია, ერთი მათგანი მართალი იქნება, მეორე მტყუანი, საზოგადოებასთან კი ჩემი აზრით — ორივე უნდა ტყუოდეს... აქ ბეჭი რამე შეიძლება მეტყვა, მაგრამ შიშს წაგვიყვანს და ამიტომ გადავიდეთ ისევ ჭიათურის იმ დროის ქსენონზე, რომელსაც ვასილ წერეთელი მოგვითხრობს: ერთსეულ თვილისიდან შინისკენ მივდივართ. ჭიათურაში უნდა გამოვლეთ. გზაში გავიკო, რომ ერთი ჩემი მეზობელი ტყვიით დაეჭრათ და ჭიათურის საავადმყოფოში იყვა. ვახერხდა თუ არა მატარებელი ჭიათურის სადგურზე, მე მასწავლე ქსენონისკენ გავუღიქვი. იგი ამ დროს გორაზე (ბ. ლოდობურის «კონტორის» იქით) იმყოფებოდა და უნდა მოგასსენოთ, რომ მე თუმცა მასთან სრულებით ვანსადათ ვასლდით, მაგრამ იქ ასვლა მანერ გამოქონდა. მამ, ვათმყოფობისთვის როგორც ვასაჭირი იქნებოდა იქნამდის მიღწევა, ადვილი წარმოსადგენია. არ დავივიწყოთ კი, რომ ჭიათურაში — იქვე რკინის გზის სადგურის უკან, ვაკეზე — გორის ძირში — კარგა მოზილი შენობები ქვის შენობა იყო (როგორც მასსოვს, წყაროც უნდა იყოს მის ეზოში) და ბ. ზღანოვიძის რომ მოენდობებია, შეიძლება, ქსენონიც იქ მოეთავსებიათ... როცა იყო მავატანე ქსენონის შენობასთან, შენობის ერთი ბეჭით — დასავლეთისკენ — რე იყო: რეუე წერილი ფიცარი გაეღვათ სიდათ, მასზე უნდა გასულიყო ქსენონში მიმავალი, და გამოვიკინდა რანაირათ ვაუვდათ იქ ვათმყოფობი... ქსენონის ვაჭრე სიბინძურე სუფუკდა, იქაურობა მთლათ ვარდა... ბოლოს შემეყვანეს შენობაშია. ჩემი მეზობელი პატარა წინა

ოთახში მოეთავსებიათ. (შესვიდოდით თუ არა ქსენონის „კორიდორში“, მარცხნით მოუხვევდით და გააღებდით ამ ოთახის კარებს) აი ეს ოთახიც: მის ქერის მწვირთან ფიცრებსა და ფიცრებს შუა, რომ არ მოუემტო, თითი გამოქსიდა. კედლები ჩამოფლეთოდა. შიკ იდგა პატარა გადაუფარებელი ხის სტოლი; სტოლზე იდგა პატარა მერლი ლამაზი. იქვე ერთ კუთხეში იდგა რკინის კრატე საშინელი ბინძური ქვეშაგელით, რომლის დანახვაზე გული ამერია... სხვა ოთახებში მე არ ვუოფილვარ. საკმელ-სასმელი და მოკლა როგორი ქონდა ჩემ ნაცნობს, არც ამის ვითხვა მომისწრია, მხოლოდ, როგორც თვითონ თქვა, ვერ გაეძლო მას იქ და შინ მიყავდით ვერ კიდევ ვათმყოფი.

ტოცხი.

ალექსანდროპოლი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

ქართული თეატრი

კვირას, 9 სექტემბერს 1901 წელს

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I.

ციხის საიდუმლო

დრამა 4 მოქმ. ვადმ. ვ. გუნიას მიერ.

II.

სალამოს ერთი სხვირი ხიური

ვოდევი. 1 მოქმ. ოზხ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობენ: ქალბატონნი: ვახუშია-საგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ლევადა, მდივანი, აფხაზიშვილი. ბატონნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედიშვილი, ურუშაძე და სხვ.

დასაწყისი 8 სათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა იქნება კვირას, 16 სექტ.

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების

ს კ მ ლ ა უ ი

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა. (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა იმყოფება ლერმონტოვისა და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან იმ კუთხეში, სახლი საგარდაპოლსკისა, № 12.

ქალაქის პროგიმნაზია

ელენე ბასტაძისა

დ. ხონჯი

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ და მეორე პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მესამე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნილ იქმნენ პროგიმნაზიის უფროსის—**ელენე ბასტაძის** სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში, 30 მანეთია წელიწადში. (4—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА IV-ЫЙ ГОДЪ

(съ октября 1901 по октябрь 1902)

Ежемесячнаго Иллюстрированнаго Изданія:

ИСКУССТВО

И

Художественная Промышленность

выходящаго безъ предвадительной цензуры

подъ редак. Н. П. СОБКО

съ однотонными и многоцвѣтными снимками въ текстѣ и на особыхъ листахъ.

Съ 1901 г. журналъ печатается въ собственной типографіи.

Подписная цѣна въ годъ за 24 №№ съ особыми приложениями (въ общемъ до 1000 стр. текста и около 500 снимковъ): безъ дост. 8 р.; съ дост. и перес. 10 р.; за гран. 12 р.

Разсрочка. допускается на условіи взносовъ: 1) по 5 руб. въ полугодіе (въ сентябрѣ и въ февралѣ); 2) по четвертямъ года— по 3 руб. при подпискѣ и въ началѣ 2-го полугодія (въ февралѣ) и по 2 руб. черезъ три мѣсяца послѣ 1-го и послѣ 2-го взноса; 3) помѣсячно (исключительно для городскихъ подписчиковъ)— по 2 р. при подпискѣ и по 1 р. въ теченіе слѣдующихъ 6-ти или 8-ми мѣсяцѣвъ.

Въ отдѣльной продажѣ— по 1 р. за книгу журнала и по 25 к. за № „хроники“ безъ перес.

Пробная книжка высылается лишь по присылкѣ 1 р., съ наложеніемъ почтовыхъ расходовъ на самую отправку, при чемъ рубль этотъ зачисляется впослѣдствіи при подпискѣ на журналъ.

Тисненныя коленкоровыя съ кожаными корешками покрывки обходятся по 1 руб. на каждый томъ безъ перес.

Иногородные подписчики, во избѣжаніе излишнихъ проволочекъ въ доставкѣ подписки черезъ книжные магазины, благоволятъ обращаться преимущественно въ Главную Контору: С-Петербургъ, Почтамтская, 13.

Книгопродавцамъ и учащимся дѣлается уступка отъ 40 до 60 коп. съ годового экземпляра смотря по роду подписки.

За перемѣну адреса взимается 50 коп. деньгами или почт. марками.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ полные экземпляры первыхъ 3-хъ лѣтъ журнала того же наименованія продаются по 10 р., съ перес. по 12 р.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 сентября 1901 г.

გამოვიღა და იყიდება **ლექსები და პოემები** ელენე ბასტაძისა, მეორე შეესებული გამოცემა ავტორის სურვილით. გ. წ—ს და ამხ. ფასი **ათი შაური**. ვინც ათ ცალზე მეტს გამოიწერს, წიგნი დაეთობა 25% დაკლებით. ადრესი: Редакция „Квали“, Г. Цулукидзе.

ქ ვ ა ლ ი

ფილიადონისა და სხვათა რედაქციისა

ქალაქის პროგიმნაზიის უფროსისა ელენე ბასტაძისა სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში, 30 მანეთია წელიწადში.

ფილიადონისა და სხვათა რედაქციისა

ქალაქის პროგიმნაზიის უფროსისა ელენე ბასტაძისა სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში, 30 მანეთია წელიწადში.

ქალაქის პროგიმნაზიის უფროსისა ელენე ბასტაძისა სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში, 30 მანეთია წელიწადში.

Вышелъ № 8 (АВГУСТЪ) ЖУРНАЛА Русское Богатство,

ИЗДАВА ЕМАГО

В. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ. Продолжается приёмъ подписки на 1901 годъ.

(IX-ый ГОДЪ ИЗД.)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ съ доставкой и пересылкой 9 р.; безъ доставки въ Петербургъ и Москвѣ 8 р.; за границу 12 р.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: Въ С.-Петербургѣ— въ конторѣ журнала: уг. Спасской и Васковой ул., д. 1—9. Въ Москвѣ— въ отдѣленіи конторы: Никитския ворота, д. Гагарина.

Книжные магазины, библиотеки, земскіе склады и потребительныя общества, доставляющіе подписку, могутъ удерживать за комиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра. Подписка, не вполнѣ оплаченная 8 руб. 60 к., а также въ разсрочку не принимается.

О. 0—1.